სამი და

(პიესა სამ მოქმედებად)

მარიამ მეღვინეთუხუცესი

2020

მოქმედი პირები:

მაია - 30 წლის
მარგო - 26 წლის, პოეტი
მარიამი - 21 წლის, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი
თემო - მარგოს მეგობარი, პოეტი, 27 წლის
თომა - 24 წლის, მარიამის შეყვარებული
ბაჩო - 39 წლის.

„/“ აღნიშნავს დიალოგის გადაფარვას.
„-“ აღნიშნავს დიალოგის გაწყვეტას.

პირველი მოქმედება.
სცენა I.

საღამოს 7 საათია. სახლის ინტერიერი. მარცხენა მხარეს შემოსასვლელი კარია, გვერდზე –პატარა სამზარეულო, სამზარეულოს მაგიდა, სკამები და ბაღში გასასვლელი შუშის კარი. ცენტრში დიდი ხნის ხელუხლებელი ნივთებით დატვირთული მისაღები ოთახია, უკანა კედელზე ფანჯრებია, მარჯვენა მხარეს – სამი კარი. ერთი კარი გადის მარიამის და მარგოს ოთახში, ერთი – ბებოს ოთახში, ერთი კარი კი მუდამ დახურული რჩება. ოთახში დგას დიდი სარკე.

მარგო ტახტზე ზის და გაუცნობიერებლად ათამაშებს გასაღების ასხმულას. ფიქრებშია ჩაფლული. უკნიდან ისმის ხმა – ადამიანის ფაჩუნი. მარგო ფხიზლდება, მაგრამ, ამავდროულად, შიშისგან შეშდება. ცდილობს, იყვიროს მაგრამ მხოლოდ ჩურჩული ამოსდის.

მარგო: მარიამ!

შიშისგან ატანილი

მარიამ!

მარიამ შენ ხარ?!

საქმიანად შემოდის მარიამი. მარგო აზრზე მოდის, ხმა უბრუნდება, დგება და მხიარული სახით გადის სამზარეულოში, გზად მარიამს კოცნის.

მარგო: გეძახდი! არ გესმოდა?

მარიამი: მეძახდი? ვერ გავიგე.

მარგოს სამზარეულოდან ღვინო და სამი ჭიქა მოაქვს. მარიამი ყურადღებით აკვირდება მარგოს.

მარიამი: რა იყო, მარგო?

მარგო: გინდა?

მარიამი: საიდან გვაქვს ღვინო?

მარგო: გუშინ გადავდე ორი ბოთლი. დღეისთვის.

მარიამი: აჰა... რა ხდება?

მარგო: ნუ მიყურებ ასე.

მარიამი: რაღაც სხვანაირი ხარ.

მარგო: ბედნიერი ვარ! არ შეიძლება?! არ გინდა?

მარიამი: არა. ანდა, კი....

მიდის მაგიდასთან და თვითონ ივსებს ჭიქას, ბოლომდე.

მარგო: ყოჩაღ.

მარიამი იწყებს ოთახში გაფანტული ნივთების ალაგებას.

მარიამი: რა ხდება?

მარგო: არაფერი. რატომ არ გჯერა.

მარიამი: მჯერა. /არ დამეხმარები?/

მარგო: არ გჯერა! არადა, ისეთი ბედნიერი ვარ, მგონია, რომ მზე გადავყლაპე!

მარიამი: რატომ?! მაია რომ ჩამოდის? /დამეხმარე/

მარგო: /არა, მაია რომ ჩამოდის, მაგიტომ არა.../ რაში დაგეხმარო?

მარიამი: მინდა, მივალაგო ცოტა. /გასაღები ხო არ გინახავს?/

მარიამი დალაგებას აგრძელებს, თან გასაღებს ეძებს.

მარგო: /რა არის დასალაგებელი?/

მარიამი: გაახილე თვალები, ყველაფერი...

მარგო თავისთვის გაიხუმრებს.

მარგო: /დამლაგებელია შენი მეორე სახელი, მარიამ!/

მარიამი: /სულ როგორ ქრება ეს გასაღები.../ რომელი საათია?

მარგო ზის, არ დგება.

მარგო: რვის წუთებია.

მარიამი: უნდა დავხვედროდით...

მარგო: კარგი, რაა...

მარიამი: მეც კიდე რას დავუჯერე...

მარგო: არ დაიკარგება, ნუ ნერვიულობ.

მარიამი: რაც უფრო მეტს ვალაგებ, მით უფრო დასალაგებელი როგორ ხდება ეს სახლი?!

მარგო: ჰოდა, შეეშვი! არ ლაგდება ეს სახლი, რით ვერ გაიგე!
ნეტა ჩემზე ღელავდე ეგრე.

მარიამს გაეცინება.

მარიამი: საეჭვოდ კარგ გუნებაზე ხარ.

მარგო: კარგი დღეა, რა გინდა.

მარიამი: /რატო?.../

მარგო: /მაიაც ჩამოდის/

მარიამი: /გასაღები არ გინახავს!?/

მარგო: იცი, რამდენი ხანია არ გვინახავს?

მარიამი: არა, გუშინ აქ დავდე...

მარგო: მაია! გასაღები კი არა...

მარიამი: ააა... ორი წელია, ხო?

მარგო: ხუთი წელი.

მარიამი: ხუთი?! უკვე ამდენი დრო გავიდა, რაც...

მარგო: გავიდა... ჰოდა, მაინცდამაინც ახლა რატომ ჩამოდის?

მარიამი: რამე მიზეზი სჭირდება?

მარგო: მაინცდამაინც ახლა რატომ? რაღაც მოხდებოდა.

მარიამი: არაფერი არ მომხდარა! რა უნდა მომხდარიყო?

მარგო: ან ჯონისთან რაღაც დაეძაბა... ან…

მარიამი: რა?

მარგო: ოოო. არ ვიცი. მიზეზი რომ ჰქონდა, მაშინ არ ჩამოვიდა და ახლა რატომ ჩამოდის?

მარიამი: მოვენატრეთ... /დასვენება უნდა... რავი მე.../

მარგო: /მოვენატრებოდით!/

მარიამი: საკმარისი არაა?

მარგო: მაიასთვის არა.

მარიამი: ნეტავ, როგორი იქნება? ალბათ ძაან შეიცვალა.

მარგო: არა მგონია... ერთადერთი, შეიძლება ტრაკი გაეზარდა.

მარგოს ეს აზრი ახალისებს.

მარიამი: ვითომ რატომ?

მარგო: ვიცნობ, რა.

მარიამი: ჩვენ ხომ შევიცვალეთ და მაიაც შეიცვლებოდა.

მარგო: შენ გაიზარდე, კი არ შეიცვალე... /მაია დაბადების დღიდან არ შეცვლილა./

მარიამი: ხუთი წელი პატარა დრო არაა...

მარგო: /ერთადერთხელ გამაკვირვა/. აი, მართლა გამაკვირვა - ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

მარიამი: კარგი ახლა, არ დაიწყო...

მარიამი დგება და ისევ ალაგებს.

მარგო: შენც მაკვირვებ, ასეთი გულგრილი რომ ხარ.

მარიამი: არა უშავს, შენ ყველა გაკვირვებს...

მარგო: ცოტათი მაინც არ ბრაზდები?

მარიამი: არა.

მარგო: რანაირად ხარ ეგეთი?

მარიამი: როგორი?

მარგო: არაფერი რომ არ გეხება.

მარიამი: ოოო, ეს შენ გგონია ეგრე.

მარგო: უფროსი და არ გჭირდებოდა მაინც?!

მარიამი: მჭირდებოდა. მარიამი პირდაპირ ყურებს თვალებში. მაგრამ არა უშავს. ყველა თავისებურად გლოვობს... მაგის მაინც ხომ უნდა გესმოდეს. მთავარია, რომ ჩამოდის.

მარგო ხუმრობით 'თოქშოუს', მაგალითად „პოსტსკრიპტუმის გამოშვების იმიტირებას აკეთებს.

მარგო: „ხუთი წლის მერე ლონდონიდან ბრუნდება, გზააბნეული, დაკარგული და... რა დახვდება მას მშობლიურ თბილისში?"

მარიამი: სულაც არ არის გზააბნეული.

კარზე ზარია. კარს მიღმა ქალის მხიარული და ლაღი ხმა ისმის.

მაია: გამიღეთ კარი, მოვიდა უფროსი!

სცენა II

აღელვებული მარიამი კარს აღებს, მარგო გაუნძრევლად დგას და უყურებს. შემოდის მაია და დები ერთმანეთს ეხუტებიან.

მაია: მარიამ, მარიამ! ჩემო მარიამ, როგორ მომენატრე! მარგო! შე გარიყულო, მოდი ჩაგეხუტო, შე ეჭვების ბურთო!

მარგო: დიდება შენს გამოჩენას!

მაია და მარგო ერთმანეთს შორდებიან. მაია თვალს ნელა მოავლებს სახლს. ნივთები მასზე მოქმედებს, წარსულს ახსენებს. გავლით, დიდ სარკეში იხედება.

მარგო ბარგზე მიუთითებს.

მარგო: ეს რა არის?! გადმოხვედი?!

მაია: შეგეშინდა?! დამენახეთ, დამენახეთ. არც თქვენ, არც ეს სახლი არ შეცვლილხართ საერთოდ!

მარიამი: შენც არ შეცვლილხარ, საერთოდ, მაი!

მაია: შევიცვალე, როგორ არ შევიცვალე... საკუთარ სხეულს ეხება. თქვენ კიდევ ნამდვილად არ შეცვლილხართ. არც კი გაზრდილხართ!

მარგო: მარიამი რას არ გაზრდილა, მთელი თავით გაგასწრო!

მაი: ჰოო, მართალია... ვინ ხართ, არაფერი არ შეგიცვლიათ აქ?

მარგო: რთულია ამდენ საგანთან შეჭიდება.

მაია: და ცხოვრება ამდენ საგანში? ძველ ხარახურებში გავგიჟდებოდი...

მარიამი: დალაგება ვერ მოვასწარით...

მაია: არაფერი არ შეცვლილა - რა უცნაურია...

მარგო: კრიტიკა ცოტა ხანში!

მაია: /მე უკვე აღარც ვაკრიტიკებ არავის./

მარგო: /მოყევი, როგორ ხარ, დაჯექი./

მაია: არ მინდა დაჯდომა! მთელი გზაა, ვზივარ!

მარიამი: როგორ იმგზავრე, მაი?

მარგო: გამომართვი.

სამივენი ტახტზე სხდებიან. მაია მარიამის გვერდზე ჯდება, მარგო კი ცოტათი მოშორებით. ორივეს აკვირდება.

მაია: ამას შენ თუ დამახვედრებდი. გაიხარე.

მარგო: აბა, ეს გამომრჩებოდა?

მაია: ზუსტად ეს მჭირდებოდა.

მარგო: ვიცოდი, რა. ჩვენი წესიერი მარიამი კი ნერვიულობს.

მარიამი: რატომ ვნერვიულობ. ნახე, რამხელა ჭიქა მისხია.

მაია: ძლივს არ შემოგვიერთდი!

მარიამი: გავიზარდე.

მარგო: აფერისტი! ამ ჭიქას დაიჭერს ახლა მთელი საღამო და ხვალისთვისაც კი შეინახავს, ოღონდ მე არ დავლიო!

მაია: მართლა!? (ეცინება)

მარგო: ჰო, ასე მაკონტროლებს.

მაია: ისევ ჯობია მარიამმა, ვიდრე მე!

მარგო: ეგეც არის.

მაია: /პირიქით არ უნდა იყოს?/

მარიამი: მე რატომ ვარ განხილვის საგანი? მოყევი, მაი, როგორ ხარ?

მარგო: /ან რატომ ჩამოხვედი…/

მარგოს კითხვას მაია ყურადღებას არ აქცევს. შეიძლება ვერც გაიგონა.

მაია: /უკვე ძალიან კარგად! / არა, მაინც საქართველო დიდი კომფორტია. აეროპორტიდან გამოხვალ და ტაქსები გელოდებიან... კაცები (იცინის). სულ რაღაც 20 წუთში და 20 ლარში სახლში ხარ. თქვენ ვერ წარმოგიდგენიათ, რა მოსახერხებელია, მეტროში რომ არ გიწევს ჯდომა. დაღლილზე, ძალაგამოლეულზე ჩანთის თრევა...

მარგო: /მთელი სახლი თუ ჩაიბარგე./

მაია: იქ ხომ არც ერთი კაცი არ დაგეხმარება, ზედაც არ შემოგხედავს. პირიქით, სიამოვნებთ ყურება, როგორ მიათრევს ლამაზი ქალი მძიმე ჩანთას, როგორ უკავდება წელი, ეგრიხება ფეხები, ძუძუები უთანთალებს... რა გასაკვირია, მერე

იქ ყველა ქალი რომ მახინჯდება... არა, ჩვენც კაი იდიოტები ვართ, გავიჩალიჩეთ თანასწორობაზე ამდენი ლაპარაკით... კაცებიც შურს იძიებენ ჩვენზე. აქ კიდევ აფასებენ სილამაზეს, სინატიფეს...

მარგო: კაი ხოო, ჩემო ნატიფო სექსისტო.

მაია: იცინე შენ და რომ მოგიწევს კაცური საქმის საკუთარი ხელებით კეთება, /მერე გაიგებ/.

მარიამი: /ზუსტად!/

მაია: აქ კი ტაქსის მძღოლმა კარამდე ამომიტანა ბარგი. ეგრე უნდა რა - ეს უფრო ნამდვილი ფემინიზმი არ არის?

მარგო: სულ არ მჭირდება, ვიღაცამ ბარგი ამომიტანოს.

მარიამი: /თორემ ყველაფერს სულ შენით აკეთებ, არა?/

მაია: კაი, მომავალში შენ ამომიტანე.

მარგო: მძღოლმა ბედი სცადა ეტყობა, უანგაროდ აქაც აღარ ამოაქვთ - /ჩვენამდეც მოაღწია ფემინიზმმა./

მაია: მერე რა, თუნდაც. მაგაში ცუდი რა არის? მაგრამ მთელი გზა თქვენზე ვუყვებოდი, დებთან მივდივარ-მეთქი.

მარგო: სამთან უცდია.

მაია: მოხუცი კაცი იყო, რა ბედი, რის ბედი. წმინდა სიკეთე იყო...

მარგო: კიდევ უარესი, მოხუც კაცს ამოატანინე ამხელა ბარგი?

მაია: აუ, ეს ვინ არის, ერთ წუთში მოგიშლის ნერვებს.

მარგო: კარგი ხო, გეხუმრები, რა გჭირს. არ მიცნობდე მაინც.
გაგიმარჯოს.

მარიამი: მაი, გაგიმარჯოს! სამივე ერთად ბოლოს როდის ვიყავით, არც კი მახსოვს.

მაია: თან მარტოები!

მარგო: ისე მართლა, აქ თუ ასე ძაან მოგწონს, დაგვიბრუნდი.

მაია: /ხო, ვნახოთ ჯერ./

მარგო: აპირებ?!

მარიამი: /და ჯონი?/

მაია: ჰო, ჯონი... ნეტა ეგეთი მარტივი იყოს.

მარგო: ორივენი ჩამოდით.

მარიამი: აუ, რა მაგარი იქნებოდა! აქ იცხოვრებდით!

მაია: კარგით, რა... არა, ადგილი კი არის, მაგრამ ასე რანაირად ცხოვრობთ? თქვენს გემოზე ვერ მოეწყვეთ? თუმცა აქ იმდენი... არ მითხრათ, რომ კიდევ ერთად გძინავთ.

მარიამი: არ გეტყვით...

მაია: ქალები ხართ უკვე, ცალ-ცალკე უნდა ცხოვრობდეთ!

მარგო: ხოო, ბებოს ოთახის დაცლას თავი ვერ მოვაბით.

მაია: ოთახებში კი არა, ცალ-ცალკე სახლებში. პატარები ხომ აღარ ხართ.

მარიამი: ნუ, ეგ ახლა...

მაია: არა, რატომ - სერიოზულად.

მარგო: რანაირად?

მაია: თუ მოინდომებთ...

მარიამი: და ეს სახლი?

მაია: ეს სახლი რა?

მარიამი: ხო არ გავყიდით? რა ფულით უნდა -

მარგო აწყვეტინებს.

მარგო: რამდენი ხნით ჩამოხვედი?

მაია: არ ვიცი ჯერ - დასვენება მჭირდება.

მარგო: რამდენი ხანი?

მარიამი: /არ იცის ადამიანმა./

მაია: არ ვიცი... მართლა არაფერი არ ვიცი. ის ვიცი, რომ უდარდელად მინდა ყოფნა.

მარგო: ტურისტივით?

ხუმრობით.

მაია: ზუსტად! ტურისტივით მინდა დავისვენო, ვითომ არავის არ ვიცნობ! არაფერი მევალება. აქეთ მინდა, მომიარონ -

სერიოზულად.

მარგო: იოცნებე, იოცნებე.

მაია: ნუ გეშინია, თქვენ კი არ უნდა მომიაროთ -

მარგო: შენი იუმორი ინგლისმა დათრგუნა?

მაია სენტიმენტალური ხდება.

მაია: ვაიმე... შეიძლება. (იცინის) ისე მენატრებოდით... თქვენ არ იცით, იქ როგორია ცხოვრება, აღარ შემეძლია-

მარგო: გეგონება, ჯოჯოხეთში ცხოვრობდე.

მაია: არა, ჯოჯოხეთი არა. ჯოჯოხეთსაც და სამოთხესაც ხომ ჩვენ თვითონ ვქმნით...

მარიამი: /ვისაც შეუძლია, კი./

მაია: უბრალოდ ჯოჯოხეთის შექმნა უფრო ადვილია./

მარგო: / ნაკლებად და მეტად ჯოჯოხეთური ადგილებიც არსებობს/...

მაია: ამიტომ იქ არც ერთია და არც მეორე. მაგრამ... მოკლედ, თავიდან რომ დავიწყო ცხოვრება, ცოტა სხვანაირად ვიცხოვრებდი. ასე არ ვიჩქარებდი.

მარიამი: პატარა იყავი, მაი -

მაია: ვიხრჩობოდი აქ... ახლა კი -

მარიამი: რისგან?

მარგო: ახლა კი საკუთარი მძღნერიც ტკბილი გეჩვენება?

/მაია: დაახლოებით./

მარიამი: /კარგი ახლა, რა დაგემართათ.../ ბებერი ყვავები ხომ არ ხართ...

მარგო: ბოლოს როდის იყავი სახლში, გახსოვს?

მაია: სახლში? ისეთი ცნებაა „სახლი“... გააჩნია, რას ეძახი სახლს.

მარგო: მეხუთე წელი ხდება... 5 წელია, არ გინახივართ.

მაია: და მაინც არაფერი არ შეცვლილა.

მარიამი: რა არ შეცვლილა?

მაია: სახლი. ვერ ვიჯერებ, ასე მგონია, წუთი წუთზე ბებო გამოვა ოთახიდან.

მარიამი: შენ რას შეცვლიდი?

მარგო: წასვლას.

მაი: არა. წასვლას არა.

მარგო: /მაშინ დარჩენას./

მაია: არა... - უბრალოდ, თქვენ მენატრებოდით.

მარგო: აბა, ხუთი წელი...

მარიამი: მაგრამ ახლა ჯონი გენატრება.

მაია: ახლა ჯონი, ხო... მისმინეთ, ჯონიზე უნდა -

მარგო: ჯონი რა?

კარზე ზარია.

მარიამი: ვაი.

მაი: რა იყო?

მარგო: ვაიმე.

მარიამი: აუუუუ... ღადაობ!?

მარგო: დამავიწყდა, ვაახ!

მაია: რა იყო, რა?

მარიამი: /ერთი რაღაც გთხოვე, მარგო! ერთი. სპეციალურად არ გადავამოწმე - გენდე. ეს არის, შევიცვლებიო?

მაია: /რა ხდება?/

მარგო: /აუუ, ნუ დაიქოქები ახლა/ ვეტყვი, წავიდნენ.

მაია: რა ხდება?

კარზე ზარია.

მაია: შემოვუშვათ ეს ხალხი სახლში. ვინ არიან?

მარიამი: /მარგოს კაცები./

მარგო: /ჩვენი მეგობრები/
ვეტყვი, წავიდნენ.

მაია: კარგი, სირცხვილია. გავიცნობ.

მარგო: არა, ვეტყვი, წავიდნენ.

მაია: რას ამბობ! ურჩხული ხო არა ვარ, გავიცნობ თქვენს მეგობრებს. /უბრალოდ, ამდენი ხნის ნამგზავრი.../

მარიამი ტელეფონს იღებს, მაია ბარგთან მიდის.

მარიამი: თომასაც ვეტყვი, მოვიდეს...

მარგო: ერთი წამი თომას გარეშე არ შეგიძლია, ხო?

მაია: მე გამოვიცვლი...

მარიამი: წამოგყვები.

მაია: სად შევიდე?

მარიამი: მანდ არა! მანდ არა!

მაია: /რატომ, რა ხდება აქ?/

მარიამი: მოდი /ჯერ ჩვენთან შევიდეთ./

მაია: მე სად მაწვენთ, ისე?

ხმა ქრება, მაია და მარიამი ოთახში შედიან. მარგო კარს აღებს. შორიდან მოჩანს ორი მამაკაცის სილუეტი ან ისმის ხმები.

სცენა III.

იგივე ოთახი ცოტა მოგვიანებით. დაბინდული განათება. მარგო და სტუმრები აივანზე დგანან, ეწევიან. მარიამი და თომა კი დიდ ოთახში არიან, თომა ახალი მოსულია.

თომა: მაიამ რაო?

მარიამი: რა კაია, რო მოხვედი, მადლობა. თორემ მარტო ამათი ატანა...

თომა: ხო, აბა რა. რის მადლობა. უბრალოდ, არ ველოდი -

მარიამი: მარგოს დაავიწყდა, რა თქმა უნდა.

თომა: დაავიწყდა?

მარიამი: ჰო.

თომა: მაიამ რაო?

მარიამი: ხო არ გავაგდებთო.

თომა: ეგ როგორ უნდა დაგავიწყდეს ადამიანს...

მარიამი: მარგოა, რა... როგორი მოგეჩვენა?

თომა: ვინ? მაია არ მინახავს ჯერ, რა გჭირს...

მარიამი: მარგო!

თომა: მარგო? რავი -

მარიამი: სხვანაირია, არა?

თომა: რა ქნა? თმა შეიჭრა?

მარიამს ეცინება.

მარიამი: არა

თომასაც ეცინება.

თომა: აბა?

მარიამი: რაღაც სხვანაირია... ვერ შეამჩნიე?

თომა: ნამდვილად ვერა...

მარიამი: ვერ? არადა, რა დაკვირვებული ხარ...

თომა: უთხარი?

მარიამი: ჩშშ... ეგრევე ხო არ მივახლიდი...

მართლა ვერ შეამჩნიე?

თომა: ვერა. რა სჭირს, რო?

მარიამი: არ ვიცი.

თომა: ზუსტად იგივეა.

მარიამი: გეუბნები, სხვანაირია.

თომა: რა გითხრა?

მარიამი: რა იცი, რომ მითხრა?

თომა: რაო?

მარიამი: არაფერი არ უთქვამს.

თომა: რაღაცას გეტყოდა.

მარიამი: რატომ ხარ ეგეთი დარწმუნებული?

თომა: აბა, რატომ მეკითხები?

მარიამი: ისე... შეცვლილი მომეჩვენა.

თომა: კაი ხო, თქვი, რა გითხრა - ლოყებში გეტყობა.

მარიამი: ჰო, მითხრა. მერე რა?

თომა: ჰოდა, რაო?

მარიამი: ოოოო, არაფრის არ გჯერა შენ და რა აზრი აქვს.

თომა: რაო? შევიცვალეო? ესეთი ეგოისტი აღარ ვიქნებიო? მილიარდჯერ მომისმენია.

მარიამი: შენ არა, მე მომისმენია!

პაუზა.

კარგი ხო, მაპატიე. უხეშად გამომივიდა, მაგრამ, რას ამბობ? იმედი აღარ უნდა მქონდეს?

თომა: ახლა უკვე კი.

მარიამი: თან არაფერი არ მითხრა – ბედნიერი ვარო, მეტი არაფერი, მაგიტომაც მაფიქრებს... /„ასე მგონია, მზე გადავყლაპეო“. ნეტავ რატომ?/

თომა: /რაა? ვერ გავიგე.../

ხმაური იმატებს. შემოდიან მარგო, ბაჩო და თემო.

თემო: ამდენ ტლიკინს, წაგვიკითხე ეს ოხერი ლექსი.

ბაჩო: მარგო, ზედმეტად მორცხვობ, ყველამ ვიცით, რომ ნიმფა ხარ.

თემო: ეგ რა შუაშია, შეჩემა, ლექსის წაკითხვასთან?

თომა: სალამი, სალამი...

ბაჩო: რავა ხარ, თომა?

თემო: თომა, ძმაო.

თემო: რამდენი ხანია არ გვინახავს, არა, ერთმანეთი?

ბაჩო: 19 თუ 20 საათი?

თომა: მეგონა, დაასვენებდით ამ დებს დღეს.

თემო: გაიგე მარგოს ამბავი?!

მარგო: თემო!

თომა: რა?!

ბაჩო: რას იმორცხვები შენც კიდე - კონკურსზე შეიტანა თავის ლექსები.

მარიამი: მარგო! (თომას მიუბრუნდება) აი, ხო ვამბობდი!

მარგო: /რას ამბობდი?/ კაი ხო, დამანებე თავი.

თომა:/ მარგო! არ უნდა გეთქვა? გილოცავ! /

მარიამი: სულელი ხარ?! არც ვიცოდი, თუ წერდი კიდევ.

მარგო: ჰოო.../ მოსალოცი ამბავია./

თომა: ანუ ახლა მეტოქეები ხართ?

თემო: სამართალი თუ არსებობს, წესით უნდა წავაგო.

მარიამი: რა თავმდაბლობაა!

გვერდით გამოჩნდება მაია, რომელიც ჯერ აკვირდება ვითარებას. მას ვერავინ ხედავს.

ბაჩო: წაგვიკითხე, ადამიანო! ქალის ხმა პოეზიაში არ ისმის! გვაკლია ქალი პოეტები.

თემო: მართალია! წაგვიკითხე მარგო, მიდი.

მარიამი: იქნებ არ უნდა ამდენ ხალხში, გაანებეთ -

მარგო: რას მიცავ, წავიკითხავ, აბა, რა.

მარიამი ამჩნევს მარგოს დაძაბულობას, რომლის დაფარვასაც მარგო სიმთვრალით ცდილობს.

მარიამი: მაია, მაია! მოდი, გაგაცნოთ.

მარგო: ვაუ, რა გარდაქმნაა. აი, თურმე რას აკეთებდა...

მაია: გამარჯობა. რაღაც მნიშვნელოვან მომენტში შემოვედი, როგორც ჩანს.

მარგო: არა უშავს! არაფერი განსაკუთრებული! გაიცანით, ეს ჩვენი უფროსი დაა.

ბაჩო: ვაა, კიდევ ერთი და, ტო.

თემო: საერთოდ არ ჰგავხართ ერთმანეთს! უფროსი რამდენით?

ბაჩო: რა უტაქტო ხარ, შეჩემა!

თემო: რა მოხდა, შეჩემა?!

ბაჩო: ბაჩო. *(თავს აცნობს, ხელს ართმევს)* ეს თემოა.

მაია: მაია.

ბაჩო: აქამდე როგორ არ ვიცოდით.

მაია: სულ არ მახსენებთ?

მარგო: მე თვითონ მავიწყდება ხანდახან.

მაია: არ ვცხოვრობ საქართველოში. დღეს ჩამოვედი.

თემო: საიდან?

მაია: ლონდონიდან.

მარიამი: მაია, თომა ხო გახსოვს?

თომა: მაი, როგორ ხარ?

მაია: თომა! დედა, როგორ არ მახსოვს, როგორ გაზრდილხარ! ბოლოს რომ გნახე, არც კი ვიცი როდის, 12-13-ის იყავი?

მარიამი: რაც გადახვედი სახლიდან, აღარ გინახავს, ხო? იმ დღეს ვიხსენებდი...

მარგოს ჭიქები და ჭაჭა მოაქვს.

მარგო: /ოპა, ოპაა, მოდით./

თომა: ჰო, პატარა ვიყავი, ბოლოს რომ გნახე, მაგრამ კარგად მახსოვხარ ძალიან.

მაია: არ მჯერა. რა კარგია, რომ შეინარჩუნეთ ურთიერთობა.

თომა მარიამს კოცნის, მარიამი იმორცხვებს.

მარგო: აი შენ, გამომართვი, თომა, მარიამ, მიდი შენც. აი, მაია. გაუმარჯოს მაიას ჩამოსვლას!

მაია: ცოტახანს დაგვაცადე გაცნობა, ეგრევე შოთები?

ბაჩო: ერთი-ორი სიტყვა გვათქმევინე ჯერ.

მარგო: ჯერ შეხურება, მერე გაცნობა.

მარგო კიდევ უფრო აბნელებს ოთახს და მუსიკას რთავს.

თემო: გაუმარჯოს მარგოს წარმატებას!

ბაჩო: მაიას ჩამოსვლას - ჯერ!

მაია: /რა წარმატებას?/

მარგო: მაიას ჩამოსვლას გაუმარჯოს! იმედი მაქვს, დიდი, დიდი ხანი დარჩება!

თემო: გაუმარჯოს!

თომა: გაგიმარჯოს მაია, შენს ძალიან საჭირო ჩამოსვლას გაუმარჯოს.

მარიამი: მაი, გაგიმარჯოს.

ბაჩო: ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს.

მარგო: ჩემს ყველაზე ჭკვიან, ძლიერ, მზრუნველ, გულახდილ! ერთგულ! დას გაუმარჯოს!

ბაჩო: და ლამაზს! სამივე ერთმანეთზე ლამაზები.

მაია: *(მარიამს ეკითხება, დის სიტყვები აკვირვებს)* რა სჭირს ამას?

მარიამი: მაიკო, გაგიმარჯოს!

თომა: ცვლილების მომტანი იყოს შენი ჩამოსვლა!

მარგო: თომა, შენ რა ფარული მესიჯებით ხარ?

თომა: სწორ გზაზე დადგომის მომტანი!

მაია: ამდენ ზეწოლას რა გაუძლებს.

ბაჩო: მე მგონი, ძალიან სწორ გზაზე ვდგავართ ისედაც! აყვავდება ქვეყანა, როცა ამდენი ნიჭიერი ადამიანია ჩვენს თაობაში. 90 იანების მერე დაბადებული, ყველა...

მარიამი: /თუ 92 იანების მერე?/

ბაჩო: /თავისუფალია. განსაკუთრებით კი ქალები./ ასეთი ქალები საქართველოს არ ჰყოლია.

მარგო: ოოოო, გეყოფა, რა.

ბაჩო: ვიცი, რომ ამჯერად ქალები გააძლიერებენ საქართველოს, სიყვარულს გააჩენენ და იქნებ ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრან ეს კაცური აგრესია!

მარგო: დალიე, ბიჭო, და ვიცეკვოთ.

მარგო მუსიკას კიდევ უფრო ხმამაღლა უწევს.

მაია: მარგო! ჩააქრე უკანა შუქიც.

მარგო: დაიწყო ბრძანებლობა - დაგვენძრა!

ყველა ცეკვავს ბაჩოს გარდა, რომელიც ტახტზე ზის, ხელები სახელურებზე აქეთ-იქით უწყვია, ცალი ფეხი მეორეზე გადაუდია და ხან მარგოს უყურებს, ხან მაიას. მუსიკა ბაჩოს შინაგან მდგომარეობას გამოხატავს.

მაია (ბაჩოს): მგონი ძალიან სწორ რამეს ამბობდი, რომ გაგაწყვეტინეს.

ბაჩო: ზედმეტს ვიძახი ყოველთვის.

მაია: არა, პირიქით. ჩვენმა თაობამ უნდა შეიგრძნოს პასუხისმგებლობა ერთმანეთის წინაშე, და გაიგოს, რომ ეს ქვეყანა ჩვენია და ჩვენი ასაშენებელია.

ბაჩო: და შენ?

მაია: მე?

ბაჩო: შენი პასუხისმგებლობა?

მაია: ჩემი? ჰო ჩემი.... დავიბენი ახლა. არა... მიწევს იქ ყოფნა - ემიგრანტები იქიდან ვაძლიერებთ ეკონომიკას და ოჯახებს.

ბაჩო: უნდა ჩამოხვიდეთ. ყველანი უნდა ჩამოხვიდეთ. სხვანაირად ეს ქვეყანა ვერ აყვავდება.

მაია: ყველას გვინდა სინამდვილეში დაბრუნება -

ბაჩო: არ მჯერა.

მაია: რატომ?

ბაჩო: აქ უფრო რთულია.

მაია: შენ რა იცი, იქ როგორია ცხოვრება?

ბაჩო: გინდა თქვა, რომ იქ უფრო რთულია, ვიდრე აქ? იქ, სადაც მარტო ხარ და არავინ არ ერევა შენს საქმეში?

მაია: აქ ერევიან შენს ცხოვრებაში, მაგრამ უყვარხარ კიდევაც.

ბაჩო: შეიძლება. მაგრამ საქმე? ამ ქვაბში როცა იხარშები, გაცილებით უფრო რთულია, გამოძვრე. გაცილებით მეტი ძალისხმევა გჭირდება - ყოველ ნაბიჯზე თითქოს ვიღაც „პადნოშკას“ გიდებს... და შენ, თქვენ, ვინც წახვედით, უნდა დაბრუნდეთ, როგორც მაგალითები...

მაია: მაგალითები?

ბაჩო: ჰო.

მაია: რისი მაგალითები?

ბაჩო: მაგალითი ამ ჩვენი წამპალი თაობის, რომლისაგანაც ერთეულები გადავრჩით და მაგალითი ამ ბავშვებისთვის, ქვეყანაზე რომ უნდა იფიქრონ... ამათ თავისუფლება აქვთ, მაგრამ ქვეყნის სიყვარული აკლიათ.

მაია: ძალიან მარტივად უყურებ - არ გესმის.

ბაჩო: მაგიტომ არ წახვედი?

მაია: რატომ?

ბაჩო: იხრჩობოდი აქ.

მაია: საიდან იცი?

ბაჩო: მეც ვიხრჩობოდი. ყველა ვიხრჩობოდით.

მაია: მე სხვა -

მარგო აწყვეტინებს.

თემო: კარგი ბაჩო, დაანებე ამ ქალს თავი.

მარგო: ნუ უსმენ, მაი, თორემ ზვიადიზე დაიწყებს ლაპარაკს.

თემო: აი, სად დაგვერხევა.

ბაჩო: მართალია!

მაია: აი, ზუსტად ეს მენატრება ინგლისში!

მარიამი: რა?

მაია: ურთიერთობები ადამიანებთან. დღეს სამშაბათია, აქ კიდევ ეს ხდება.

მარიამი: აქაც იშვიათად ხდება. მარტო ჩვენთან.

მარგო: ჩვენი პენსიონერი.

თემო: პენსიონერი კი არა, მშრომელი. ჩვენ კი არა, მარიამი ააშენებს ქვეყანას. ჩვენ დილეტანტები ვართ.

მარგო: ჩვენ გავაფერადებთ.

მაია: რანაირად გამოხვედი ასეთი ჩვენს ხელში, მიკვირს.

მარგო: ჰო, ცოტა უნდა გამოცოცხლდე, გაატრაკო! თორემ ასე ძალიან მოსაბეზრებელია.

თომა: შინაგანად ცარიელი თუ ხარ, კი.

მაია: სულაც არ უნდა გაატრაკო! სიმშვიდეს რა ჯობია!

მარიამი: /აუ, კარგი რა!/

თემა: /მარიამ ნეტარი./

ბაჩო: მზე!

თომა: გაუმარჯოს ჩემს მარიამს!

მაია: ჩვენს მარიამს!

მარიამი: კარგი ახლა, გეყოფათ.

მარგო: გადღეგრძელებენ! დღეს გიგრძელებენ, შეირგე, ვახ!

მაია: ეს არ იცით, პატარა როგორი იყო – იღვიძებდა თუ არა ეგრევე ღიმილი ეჭიმებოდა სახეზე. არავისგან არაფერს არ ითხოვდა - თავისთვის იჯდა, თამაშობდა, იცინოდა - ჯანმრთელი ბავშვი.

თემო: *(მარგოზე მიუთითებს)* ეს, ეს ნაგიჟარი?

მაია: ოოოჰოჰოჰო. ამას ნიანგის ცრემლები სტარტზე ჰქონდა.
ჩხაოდა, კი არ ტიროდა. მერეც! ნამდვილი მეგობრები თუ ეყოლებოდა, არ გვჯეროდა, ისეთი მანიპულატორი იყო

მარიამი: მანიპულატორი?

მაია: უუუ, შენზე როგორ ეჭვიანობდა, იცი?

მარგო: თამაში! თამაში მოვიფიქრე, გინდათ?

თემო: რა თამაში?

თომა: აუ, კაი რა, არ გეზარება?

თემო: მე სულ ვაგებ თამაშებში.

მარგო: მომისმინეთ, მაგარი თამაში მოვიფიქრე.

მაია: მოდი. როგორც 90-იანებში, როცა არაფერი არ გვქონდა და სულ თამაშებს ვთამაშობდით.

ბაჩო: აი, ზუსტად!

თემო: ამათი 90-იანების ნოსტალგია აღარ შემიძლია, რა.

მარგო: მაშ ასე! მგონი, ძალიან შესაფერისი დროა, ყველა მოვყვეთ ჩვენი ბავშვობის, ან ნებისმიერი ასაკის - ყველაზე ტკბილ და ცოცხალ მოგონებას.

მარიამი: მშვენიერი იდეაა!

თომა: ეს რანაირი თამაშია?

მარგო: ნუ, რაც არის, რა.

მარიამი: თამაში წაგებულის გარეშე.

მარგო: მეგობრულის გარეშეც. ჰა, რას იტყვით?

ბაჩო: გაცნობითი თამაშია, რა.

თემო: დავაი, დავაი, მე მინდა.

მაია: ვინ იწყებს?

მარგო: ყველაზე უფროსი, რა თქმა უნდა.

ბაჩო: ვაა...

მაია: მარგო, გეხვეწები, ცოტა ჩუმად, რა ... გამისკდა თავი ამდენი ყვირილით. წყალიც მომიტანე, გთხოვ.
აბა, გისმენთ, ბაჩო.

მარგიო: მარიამ, მოუტანე მაიას წყალი, რა.

მარიამს მოაქვს წყალი.

ბაჩო: მოიცა, ორი წუთი დავფიქრდე... კაი, კაი... გამახსენდა, უფრო სწორად, სულ მახსოვს, მაგრამ რამდენად ტკბილია, არ ვიცი, ძვირფასია ნამდვილად...

მარგო: მოყევი, მოყევი!

მაია: რატომ ყვირი, ადამიანო! აცადე.

თითქოს პარალელურად და უკანა ფონზე მიმდინარეობს მარგოსა და თემოს, თომას და მარიამის დიალოგები.

თემო (მარგოს): რატომ მალავ კონკურსის ამბავს?

მარგო: ჩშშშ....

თომა (მარიამს): მაიაც კაი შებერტყილი ყოფილა.

მარიამი: ყველა...

ბაჩო: ვიცი, ‘ტიპიური’ მოგონება არ არის... და, ‘მამენტ’, არც ბავშვობის.

თემო (მარგოს) : აი, ეს რა წამოიწყე, თუ ხვდები...

მარგო (თემოს): მაიას კერავს.

თომა (მარიამს): მაიას ეპრანჭება?

მარიამი (თემოს): ქმარი ჰყავს!

ბაჩო: 17 წლის ვიყავი, დაბადების დღე 2 დღეში მიწევდა - მაშინ ფოთში ვცხოვრობდი და როგორც ყველგან მაგ დროს, ბირჟაობის მეტი არაფერი არ ხდებოდა... მოკლედ, რაღაც იდიოტობის გამო დამიჭირეს, (მაიას) უსაქმურობის ნიადაგზე რაღაც ჩხუბში გავეხვიე, ეგ ნაბოზვრები...

თემო: ოოოო, ტკბილიო და ეს რა არის?

ბაჩო: მოკლედ დამიჭირეს - ციხეში ჩამსვეს, უფრო სწორად, იზოლატორში. ოღონდ ზუსტად ვიცოდი, რომ მართალი ვიყავი... უდანაშაულო. რაღაც ჩხუბში გავერიე, ვიღაცებმა დანა ამოიღეს და შემეტენა - მე ნიპრიჩომ ვიყავი საერთოდ და მაგიტომაც დამიჭირეს, ეგეთი ტაქტიკა ჰქონდათ მაშინ. მოკლედ, ჩავჯექი იზოლატორში და წარმოდგენა არ მქონდა, რამდენ ხანს ვიჯდებოდი. რა უნდა მეკეთებინა? დავიწყე ლოცვა...

გარშემომყოფებს ეცინებათ. ბაჩო სერიოზულად აგრძელებს.

ბაჩო: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა...და ასე, საათობით ვლოცულობდი და ვლოცულობდი. მერე რაღაც მომენტში დავიჭირე ჩემი თავი, გვერდიდან შევხედე. კი არ ვლოცულობდი, უბრალოდ ვლაპარაკობდი, ღმერთს ველაპარაკებოდი. ვუყვებოდი ჩემს ცხოვრებას და იმას, როგორია ადამიანად ყოფნა, სიტყვები წყალივით მოედინებოდა... ლექსად. გაუჩერებლად, რითმულად, მონოტონურად გამოვთქვამდი ბგერებს. მერე უეცრად გავიაზრე, რომ ამ კედლის მიღმა მთელი სამყარო იყო, ღმერთის შექმნილი, ზუსტად ისევე, როგორც მე. მზე, ცა, ტყეები, ზღვა - და ზღვის სუნმა მოაღწია ჩემამდე, გამახსენდა, რომ სულ რაღაც ორ კილომეტრში ზღვა იყო და კარგად თუ მივაყურადებდი, ტალღების ხმაც კი მესმოდა... ვგრძნობდი როგორ, მესხმებოდა შხეფები და წყლის სიგრილე როგორ მეხვეოდა... ღმერთს ვევედრებოდი,

ერთხელაც გამიშვი და ზღვა მანახე-მეთქი, თუნდაც ბოლოჯერ, ოღონდ, აი, ის ზღვა მანახე, შენი შექმნილი რომ არის, ღმერთო.
მერე ჩამეძინა. არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა ან რამდენ ხანს ვლოცულობდი.... უცბად 'პადლეცი' მაღვიძებს, თავისუფალი ხარო....

სიჩუმე. მაიას ეტირება.

ბაჩო: ეს არის ჩემი ყველაზე ძვირფასი მოგონება.

თემო: ვა�ა, რა მაგარი გამოცდილებაა. დაწერე. კინო დაწერე.

თომა: ძალიან მაგარია, ბიჭო. მთელ ტანში დამბურძგლა.

მარგო: ხომ ვთქვი, კაი თამაშია-მეთქი.

მარიამი: რომ გახვედი, რა ქენი?

ბაჩო: რა?

მარიამი: რომ გამოხვედი, რა ქენი?

ბაჩო: ეგრევე დედაჩემთან გავიქეცი, საწყალი ქალი... წარმოდგენა არ ჰქონდა, სად ვიყავი. გული უსკდებოდა.

მარიამი: ზღვაზე აღარ წასულხარ.

სიჩუმე.

მაია: როგორ შეეშინებოდა დედაშენს…

თემო: ბიჭო, და პირდაპირ ღმერთს ელაპარაკებოდი? გრძნობდი, რომ გისმენდა?

ბაჩო: ღმერთს თუ რას, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ რაღაც მისმენდა.... ისე, შემეშინდა, რა არის დასამალი...

თემო: რა დასამალი, ყველა ჩავიჯვამდით.

მაია: 17 წლის ხომ – მით უმეტეს.

ბაჩო: ხო, მოკლედ... ახლა სხვამ მოჰყვეს.

მარგო: კარგი. ვინ იქნება შემდეგი?

ბაჩო: შენ! შენ, პატარა პოეტო.

მარგო: ჯერ ბიჭები მოჰყევით, მერე ჩვენ, დები მოვყვებით.

თემო: კარგი, მე მოვყვები - კონტრასტს შემოვიტან.

მაია: აბა, აბა, მიდი, გისმენთ.

მარიამი: თემო, თემო!

თემო: „მე ვიყავი პატარა,
ალბათ შვიდი წლის,
იმერეთში წამოვწექი
დიდი მუხის ძირს,
იადონები ცეკვავდნენ
ცეცხლმოკიდებული ნისკარტებით,
თან ეძებდნენ მატლიკებს,
სანამ მე ტკბილ, მწიფე ალუბლებით
ვიტკბობდი პირს.
იადონებს შევარქვი
მეგობრების სახელები,
ქარმა მოაქროლა
ბებოს სიტყვები:
„მჭადი გამოცხვაა“!

ყველა იცინის.

ბაჩო: ნამდვილი პოეტი, მოკლე და ლაკონური!

მარგო: სულ ეს ხარ, ბიჭო!

მაია: ძაან ტკბილია! ზუსტად შევიგრძენი სოფელი, თავის სუნებით და გემოებით!

მარიამი: რა ნოსტალგიური საღამო გამოგვივიდა.

მარგო: ამოიღო კონკიამ ხმა! მოდი, თომა, შენ თქვი და ბიჭები მოვითავოთ - მერე დები ვიტყვით - ნახავთ, რა ოჯახურ პორტრეტს შეგიქმნით.

თომა: მე არაფერი არ მახსენდება ჯერ - უნდა მაპატიოთ, ძალიან ცუდი მეხსიერება მაქვს.

მარგო: რა ბედნიერი ხარ, ნეტავ მე არ მახსოვდეს წარსული!

თომა: მართლა, მართლა... არაფერი მახსენდება.

მარგო: მარტივი გამოსავალი, ბევრჯერ რომ მსმენია, ისეთი.

მარიამი: დაანებე თავი, რა გინდა.

მარგო: /დაიცვა ნეტარმა./

თომა: /შენ ლექსები წაგვიკითხე, მე მოგონებას მოგიყვები./

მარიამი: რას გვერჩის, ხო არ იცი?

მაია: /რა ლექსები?/

მარგო: მაი, მოდი, ჯერ შენ, როგორც ყველაზე უფროსი.

მაია: მე?

მარგო: როგორ განვითარდით, ვნახავთ. მიდი, მაი.

მაია: მოკლედ, კაია თუ ცუდი, არ ვიცი, მაგრამ ეგ მომენტი მახსოვს ყველაზე მძაფრად. ამ სახლშია, სხვათა შორის.

მარიამი: ჩემიც!!

მარგო: აუ, ჩემიც.

მაია: მარგო, მერამდენე ჭიქას სვამ?

მარგო: მაიაა, თავი დამანებე , ნუ მაკონტროლებ. მოყევი, გელოდებით.

მარიამი: მარგო, ძაან აგრესიული ხარ.

მარგო: ამ ჩემ ფეხებს! მოყევი!

ბაჩო: მარგოს ასეთი ხასიათი ჯერ არ მინახავს.

მარგო: ჰოდა, გაიცანი.

მაია: ეს სულ ასეთია?

მარგო: როგორი? აღარ გეცნობი, ხო?

მაია: რა დაემართა?

მარგო: ჯერ მე მოვყვები, რა!

მარიამი: მოყევი.

ბაჩო: ნუ გვეჩხუბები - მოყევი.

თემო: მიდი, მარგო, ნუ დაძაბე ხალხი.

მარგო: მოკლედ, 5 წლის ვიყავი, როცა ბატონები მესტუმრა. მახსოვს, ბაღიდან დაურეკეს დედას. მალევე მოვიდა და სახლში წამიყვანა. ძალიან მცხელოდა და ყველაფერი არეული იყო, თითქოს კონტურები გაქრა. საგნები წაიშალა და ყველაფერი დიდ მონსტრებად მეჩვენებოდა - მახსოვს, დედა მამშვიდებდა, ხელში ამიყვანა და ისე წამიყვანა. დედას მხარზე მედო თავი და ყოველივე ნაბიჯი ტალღის გადაცურვად მეჩვენებოდა, ქვევით, ზევით... ქვევით, ზევით... ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს... სახლში რომ მოვედი, სიცხე გამიზომეს და 41 მქონდა.

მაია: 39, 41 არა, ის...

მარგო: არა. მახსოვს, ბებოს და დედას ძალიან შეეშინდათ რადგან არანორმალურად მაღალი სიცხე მქონდა, 41.

მაია: მახსოვს, იქ ვიყავი და მე გიზომავდი სიცხეს, რადგან ბებო და დედა წითელ ნაჭრებს შლიდნენ.

მარგო: ჰოდა, ასე რომ ინერვიულეს, დამორჩილდნენ ბატონებს, დამაწვინეს რაღაც ტახტზე აი აქ, ამ ოთახში, აქ! სულ გააწითლეს ყველაფერი. ბებო იყო ეგეთი, საიდან გვქონდა ამდენი წითელი ნაჭერი, არ ვიცი. მოკლედ, დამსვეს „ბატონად“ და ყველა ჩუმად ლაპარაკობდა. ჩემი სურვილები უნდა შეესრულებინათ. ოთახში სინათლის ერთი სხივი შემოდიოდა და მთელი ოთახი დიდ, წითელ აკვარიუმს ჰგავდა. თუ რაღაც ნელ, წყალქვეშა, უსიტყვო ზღაპარს. მელანდებოდა რაღაც სულების სამყარო და მახსოვს გვერდზე პატარა, ახალშობილი მარიამი მეწვა.

მაია: რაის მარიამი, ეგეთ ავადმყოფთან მარიამს შემოუშვებდნენ შენი აზრით?

მარგო: რა გინდა? რატომ მიშლი? იყო, როგორ არ იყო. მე ხუთი წლის ვიყავი, მარიამი უკვე დაბადებული იყო და გვერდზე მეწვა.

მაია: ვინ ამბობს მერე, დაბადებული არ იყოო. იყო, ოღონდ ბებოსთან რჩებოდა, ბატონები რომ არ გადასდებოდა.

მარიამი: კაი, რა მნიშვნელობა აქვს ახლა, მოგონებაა.

მაია: ნამდვილია თუ არა, მნიშვნელობა არ აქვს?

მარგო მაიას დაუყვირებს.

მარგო: არ მაცლი?!
ვააახ... წყობიდან უნდა გამომიყვანოს მაინცდამაინც!

მარიამი: კაი, მარგო, შენც კიდე, გააგრძელე. გვაინტერესებს.

მარგო: მეტი რა ვთქვა. სულ ეს არის... ვიწექი და ჯერ პატარა, შეხვეული მარიამი მეწვა გვერდზე, მერე მაია, მერე ბებო, ბოლოს მამაც მოვიდა და ტკბილეული მოიტანა. დედამ ატმის კომპოტები შემოიტანა, ყველას დაგვისხა, თვითონაც დაჯდა და სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა რაღაცნაირად იღიმებოდა... ჩუმად ჩართეს ტელევიზორი და ყველანი ერთად ვუყურებდით, თან მე მივლიდნენ.

მარიამი: ზუსტად წარმომიდგენია... თითქოს ვიცოდი ეს მოგონება, არადა, საიდან უნდა მცოდნოდა.

თემო: ხოო, მეც მქონდა ბატონები და დაახლოებით ეგრე იყო.

ბაჩო: ზუსტად ეგეთი განწყობა იყო. რიდის.

მარგო: ჰო და მაგარია ასეთი ჯადოსნური სამყარო. მახსოვს, ეგრე დაცულად ცხოვრებაში არ მიგრძვნია თავი. დღემდე.

თემო: ასე რომ გევლებოდნენ, მაგიტომ.

მარგო: ჰოო...

მარიამი: მე არ მახსოვს ჩემი ბატონები. მქონდა საერთოდ?

მაია: არა, შენ არ გადაგიტანია... მაგარია, უბრალოდ ნახევარი არასწორად გახსოვს.

მარგო: აუ, ეს ვინ არის! რა გინდა? მოგეყოლა შენ. არ შეიძლება, ერთი მოგონება ისე დავიმახსოვრო, როგორც მე მინდა?

მაია: კი არ იხსენებ, იგონებ.

მარიამი: ეგრე ახსოვს.

მაია: კარგი რა, თავის მოგონილ ილუზიაში ცხოვრობს.

მარგო: მე? კიდევ მე ვცხოვრობ ილუზიაში?

მაია: ფაქტია, როგორც გაწყობს, ისე გახსოვს.

მარგო: ჩემთვის ნამდვილია, რატომ არ გჯერა? რამეს გიშლის ჩემი ასეთი მოგონება?

მაია: არასწორად გახსოვს... მთელი ემოციები გაქვს აწყობილი რაღაც არასწორ ამბავზე. ილუზიურ ამბავზე... ყოველთვის ეგრე იყავი. რაღაცას გამოიგონებდი და იმის გჯეროდა.

თემო: მერე მაგარია, ცხოვრება ეგრე უფრო საინტერესო არაა?

თომა: ვისთვის? საკუთარი თავისთვის შეიძლება კი.

მარგო: /შენც არანაკლებ ილუზიებში ცხოვრობ, მაია./

მაია: რა ილუზიებში?

მარგო: თუნდაც იმაში, რომ ეგეთი წარმოგიდგენია ჩემი თავი... იმავეს არ აკეთებდე მაინც.

მაია: რას?

მარგო: ჩაიხედე სარკეში.

მაია: მე ჩავიხედო? შენ ხარ აქ ისტერიული, როგორც ყოველთვის... პარანოია გჭირს.

მარგო: კაი, მითხარი მაშინ, რისთვის ჩამოხვედი.

მაია: ანუ?

მარგო: რა ვერ გაიგე. რისთვის ჩამოხვედი...

მაია: რას ნიშნავს? თქვენს სანახავად ჩამოვედი.

მარიამი: /მარგო, კარგი რა. არ დაიწყო ახლა./

მარგო: შენ ხომ არასდროს არ იტყუები, სულ სიმართლეს ამბობ.

მაია: ვცდილობ.

მარგო: მარიამ, არ გაინტერესებს, რისთვის ჩამოვიდა? დავიჯერო, არაფერი არ გაქვს დაგეგმილი? დავიჯერო, იქიდან არ დაგვილაგე ცხოვრება? არ გადაგვიწყვიტე რაღაც- რაღაცები? ერთადერთი ის დაგრჩენია, დაგვარწმუნო.

მაიას ყალბად ეცინება.

/მაია: რაში?/

მარიამი: რა გჭირს, მარგო? რაებს ლაპარაკობ?

მარგო: არ გაინტერესებს? საინტერესოა, ამჯერად რა დაგეგმა, რა გადაგვიწყვიტა.

მარიამი: მე ნუ მრევ, რა, ამ შენს რაღაც დაკითხვაში.

მარგო: კითხვას გისვამ - არ შეიძლება, თუ ესეც ჩარევაა?

თომა: მარგო, მერე რო გაარკვიოთ, არ გინდა?

მარგო: ამოიღო ბიჭმა ხმა, დაიცვა თავისი მარიამი. მარიამ, არ მიპასუხებ..? შენ მაიას არ იცნობ, ვერასდროს მიხვდები...

მაია: რა გინდა? შარზე ხარ აშკარად.

მარგო: რისთვის ჩამოხვედი, მითხარი - მოგბეზრდა ინგლისი, იქ ვერავის ვერ აკონტროლებ და აქ ჩამოხვედი, რომ დაგვახრჩო შენი კრიტიკით, კონტროლით და ხუთოსნობით?

მაია: მარგო, ძალიან მთვრალი ხარ, მერე ვილაპარაკოთ - შენი მეგობრების მაინც არ გერიდება?

მარგო: ანუ სალაპარაკო არის?

მაია: თურმე კი - აშკარად გაბრაზებული ხარ, მაპატიე, ვერ ვხდებოდი, მე -

მარგო: მარტივი კითხვაა, რატომ ჩამოხვედი? ან რამდენი ხნით?

მარგო იღებს ბოთლს და „შოთების“ ჩამოსხმას იწყებს, მიყოლებით სვამს რამდენიმეს.

მარიამ: მარგო, რას აკეთებ! გინდა, მოიწამლო?

მაია: მარგო, დედა კი არა ვარ, შენს მანიპულატორულ თამაშებს რომ ავყვე.

მარგო: ოოო, გამოჩნდა გველის თავი.

ერთსაც გადაკრავს.

მარგო: მე არ დავიღლები, ხომ იცი, გამძლეობა მაქვს - მტრისას! რისთვის ჩამოხვედი?

თემო: მარგო, კარგი რა, დამშვიდდი. წამო, გავისეირნოთ, არ გინდა?

მარგო: მაიაააა, რისთვის ჩამოხვედი, რა გაქვს ჩაფიქრებული? ნუ გვამყოფებ შენი ხუთოსნობის ილუზიაში. ბაჩო, დაიმახსოვრე. გვანახე შენი ნამდვილი სახე - ეგ უფრო საინტერესოა.

კიდევ ერთს სვამს.

მაია: მარგო ამით მარტო შენს თავს ავნებ - მე არაფერი არ მიშავდება.

მარგო: მარიამ, გაიცანი შენი და, მაია - შენც ხომ ხვდები, რომ რაღაცას არ ამბობს, თორემ ამდენს რატომ დამალევინებდა.

კიდევ ერთი.

მარიამ: მაია, რა ხდება?

ბაჩო, თომა და თემო გაშეშებულები დგანან.

მარიამი: მარგო! გამოფხიზლდი! რა გჭირს! თავი ხელში აიყვანე.

მარგო: მე რა უნდა ავიყვანო, მაიას უთხარი, სიმართლე თქვას, რას ვითხოვ, ეგეც.

მარიამი: მარგო, გაჩერდი!

მარგო: რამდენი ხნით ჩამოხვედი, დაიკო?
რა იყო, რატომ ვერ ამბობ?

მაია: რამდენიც საჭირო იქნება, იმდენი ხნით.

მარგო: ყოჩაღ... ერთ პლუსი მაიკუნას, როგორც დედა იტყოდა - „მაიკუნა“. დედა რომ ხედავდეს, რასაც მიშვები...

მაია: შენი თვალებით იყურება და შენ გხედავს...

მარგო: და მაინც შენ დაგბრალდებოდა.

კიდევ ერთს სვამს, უკვე გული ერევა, ფეხზე ძლივს დგას.

მარგო: არ იტყვი?!

კიდევ ერთს იმზადებს, უკვე ძალიან ბარაქიან ჭიქებს სვამს, პირთან მიაქვს ბოლომდე ავსებული ჭიქა.

მარიამი: მარგო!

თემო: მარგო, მომეცი!

მარგო: გაუშვი! თქვას.

კიდევ ერთ ისხამს.

მაია: სახლი უნდა გავყიდო!

სიჩუმე.

მერე? რა გინდა? გაგიხარდა?

მარგო: ვა�ა, მაიკუნას გაუჭირდა... და ისევ თავისი ხერხებით გადაწყვიტა საკუთარი თავის დახმარება.... ყოჩაღ. აი, მეგობრებო, ჩემი დის ნამდვილი სახე.

მარგო სარკესთან მიდის. ჯერ თავჩახრილი დგას. მერე ნელ-ნელა საკუთარ თავს ათვალიერებს - ქვევიდან ზევით.

მაია: რას აკეთებ?

მარგო: ჩაიხედე სარკეში.

მაია: და რა? ეგეთი ცუდი რა ვქენი?

მარგო: მარიამ - რამე კომენტარი გააკეთე.
მარიამ!
ენა ჩაყლაპე?
მოიცა, მარიამ, იცოდი?
ანუ მე არავინ არაფერს არ მეკითხებით და ორმა ხუთოსანმა გაყავით სახლი?

მარიამი: მარგო, დამშვიდდი. პარანოია დაგემართა უკვე.

მარგო: კარგი, გასაგებია. კარგად მეყოლეთ.

მარიამი: მარგო, შემომხედე, რა გჭირს? არაფერი არ ვიცოდი.

მარგო: მანიპულირებს შენით, როგორ ვერ ხედავ?!

მარიამი: პირველად მესმის, მარგო!

მარგო სახლიდან გადის, მარგოს თემო მისდევს. სხვები ერთხანს უხმოდ დგანან, მაია მარიამს უყურებს, ცოტა ხანში მარგოს გაეკიდება, მაიას ბაჩო მიჰყვება. თომა მარიამთან მიდის, მარიამი არ ინძრევა.

მარიამი: ჩემი მოგონება რა იყო, იცი? არ ვიცი, მოგონება თუ პირველი ფიქრი - ანდა, პირველი ფიქრი თავისთავად პირველი მოგონება ხომ შეიძლება იყოს? იქნებ მაგ მომენტში დაიბადა მეხსიერება?

თომა: არ ვიცი...

მარიამი: არ ვიცი, ზუსტად რამხელა ვიყავი. აკვანში ვიწექი ან შეიძლება ჩემს საწოლში... გავიღვიძე, მახსოვს, თვალები გავახილე და მარტო ვიყავი. აი, იმ ფანჯრიდან მზე შემოდიოდა. ეგ ფარდები ეფარა და ფარდიდან მზის ერთი სხივი შემოდიოდა... ხელი გავშალე, რომ იმ სინათლის სვეტს შევხებოდი და ხელი განათდა, სხივი კი ხელს შემოახტა თითქოს. ხელი განათდა და პირველად მივხვდი, რომ ეს ხელი ჩემი ხელი იყო. ჩემი გაგრძელება. მზეში პატარა ფანტელები ცეკვავდნენ და მე აღფრთოვანებული ვუყურებდი ამ საოცრებას. პირველად გავიაზრე მზის და საკუთარი სიცოცხლე და ჩვენი ურთიერთობა... და იცი, რას მივხვდი?

თომა: მაშინ?

მარიამი: არ ვიცი, მაშინ, თუ მერე გავიაზრე, მაგრამ მივხვდი, რომ არაფერი არ მჭირდება, უფრო სწორად, არავინ არ მჭირდება, გარდა ამ ურთიერთობისა, ჩემსა და მზის სხივს შორის რომ იყო. არავინ არ მჭირდება და არავის იმედად არ უნდა ვიყო, სრულებით თვითკმარი ვარ სრულებით... და ყველანი ეგრე უნდა ვიყოთ. მაგის მერე ეგ სისავსე აღარ მიგრძნია.

თომა აშტერდება მარიამს. მარიამი კი თავის მოგონებებშია.
სცენის დასასრული.

სცენა IV.

ცოტა მოგვიანებით. შემოდიან მაია და ბაჩო.

მარიამი: ასე მალე მოხვედით?

ბაჩო: სადღაც გაუჩინარდა.

მაია: სად წავსულიყავით, არ ვიცოდით.

მარიამი: ჰო, ეგრე იცის ხოლმე.

მაია: ხოლმე?

თომა: კი, ბევრჯერ, მაგიტომ გვინდოდა

მაია: სად წავიდოდა ახლა?

მარიამი: არ ვიცი, თომასთან? ხან სად მიდის, ხან სად.

მაია: რატომ არ მეუბნებოდი?

მარიამი: შენით უნდა გენახა - მაგრამ ასე მალე თუ ნახავდი, არ მეგონა. თუმცა...

მაია: ჩემი ბრალია?

თომა: კაი, რა შენი ბრალია, ასე იქცევა სულ.

მარიამი: სახლი?

მაია: რა?

მარიამი: მართალია?

მაია: კი.

მარიამი: როდის მოიფიქრე?

მაია: მეც არ მინდოდა ტელეფონით თქმა.

მარიამი: ჰო...

მარიამი დგება და ნელ-ნელა მიდის ოთახისკენ.

მაია: მარიამ, სად მიდიხარ?

მარიამი: მეძინება. დავიღალე.

მაია: მარგო?

მარიამი: რა?

მაია: რა გავაკეთო, მითხარი. მე ხომ არ ვიცი.

მარიამი: არაფერი, მაი. მოვა.

მაია: დავიძინო? დაველოდო? გასაღები აქვს?

მარიამი: არ აქვს, ერთი გასაღები გვაქვს და ისიც დავკარგეთ... ვერ ვიპოვე დღეს.

მაია: ერთი გასაღები? ასე როგორ ცხოვრობთ, გავგიჟდი.

მარიამი: რა გინდა მაიკო, რა გითხრა?

თომა: მოვა, აბა სად წავა. ზრდასრული ქალია. შენც დაღლილი იქნები, დაიძინე. დილაობით მოდის ხოლმე.

მარიამი: მეღვიძება მაგ დროისთვის, თუ არა და, გაგვაღვიძებს, ეგეც არ არის პრობლემა.

მაია: რამე გეთქვა მაინც.

მარიამი: არ გიკითხავს. არადა, ამჯერად მეგონა, რომ ნამდვილად...

მარიამი გასასვლელისკენ მიდის.

მაია: რა გეგონა?

თომა: ხომ ვამბობდი, სისულელეა-მეთქი.

მაია: რა? რატომ არაფერი არ ვიცი?

მარიამი: რაც დედა გარდაიცვალა, მარგო ლექსების წერას დაუბრუნდა. „წიგნი დედას“ - ასე დაარქვა. ჩვენ სამს შორის ყველაზე რთულად მარგომ გადაიტანა.

მაია: /ყველაზე რთულად რატომ?/

მარიამი: უფრო სწორად, ვერ გადაიტანა ჯერ. ჩვენ გავაგრძელეთ ცხოვრება, მარგომ ვერ. შენ არ გინახავს, უბრალოდ.

მაია: /მთელი ცხოვრება ეგრე იყო/

მარიამი: იმ დღიდან მოყოლებული, ასეთია, როგორიც დღეს ნახე - მომენტებში დედას ემსგავსება ძალიან და მაშინ იწყებს წერას. შენ სანამ სახლში მოხვიდოდი, ზუსტად მაშინ მითხრა.

მაია: რა?

მარიამი: ისეთი ბედნიერი ვარ, თითქოს მზე გადავყლაპეო. შენი ჩამოსვლის გამო მეგონა.

მაია: ასე თქვა?

მარიამი: მერე გავიგე, რატომაც. დაუმთავრებია ის წიგნი.

თომა: კონკურსზეც შეიტანა.

მარიამი: ჰო! კონკურსზე შეიტანა. და ჩვენ არც კი გვითხრა. მე არ მითხრა.

მაია: სულ ეგეთი იყო.

მარიამი: იქნებ ხვალ წაგვაკითხოს. დედას ენით წერს. ადრე, რომ ვკითხულობდი.. დედას ხმა ჩამესმოდა...

მარიამი და თომა საძინებელში გადიან.

მაია: დედა რომ აღარ არის, ახლა მარიამი ამოიჩემა... *(თავისთვის).* ისე, მე სად უნდა დავწვე?

ბაჩო: მაია...

მაია: ვაიმე... ბაჩო, ბოდიში, ამდენ ოჯახურ დრამას რომ შეესწარი დღეს... ხომ ხედავ, ყველაფერი ჩემი ბრალია. როგორც ყოველთვის, ყველაფერი ჩემი ბრალია. საწყალი მარგო და ძლიერი მე...

ბაჩო: მართლა ძალიან ძლიერი ხარ... საერთოდ, ჩვენი თაობა სხვანაირია.

მაია: მე არ მჭირდება, ხომ, მოფერება, რაში მჭირდება, ხომ ძლიერი ვარ? ყველაფერი მე უნდა გავაკეთო, მე ხომ ჭკვიანი გოგო ვარ.

ბაჩო: ძლიერების ბედი ასეთია.

მაია: რატომ!? მე არ ამირჩევია ეგ სიძლიერე... ჩემგან მოითხოვეს. მაგრამ მე? ჩემზე ვინ ზრუნავს?

ბაჩო: ინგლისში ვინ ზრუნავს შენზე?

მაია: მარგოს ლექსები წაკითხული გაქვს?

ბაჩო: მოსმენილი.

მაია: როგორია მერე?

ბაჩო: ვნებიანი.

მაია: დიდი ხანია იცნობ მარგოს?

ბაჩო: არა. თემომ გამაცნო რამდენიმე თვის წინ.

მაია: ანუ სიყვარულზეა?

ბაჩო: რა?

მაია: მარგოს ლექსები?

ბაჩო: სულ ერთი ლექსი წამიკითხა. კი, სიყვარულზე იყო. და ღალატზე და თავის დაკარგვაზე.

მაია: გულახდილობაზე, არა?

ბაჩო: ალბათ.

მაია: რამე სჭირს, შენი აზრით?

ბაჩო: მარგოს?

მაია: ჰო.

ბაჩო: მარტოობა.

მაია: მეტი არაფერი?

ბაჩო: არაფერი. სისუსტე და მარტოობა.

მაია: სუსტია... ჰო.

ბაჩო: შენ კიდე -

მაია: მაგრამ სულ ასე იქცევა?

ბაჩო: არა.

მაია: აბა, მაშინ როგორია?

ბაჩო: მსუბუქი.

მაია: ანუ?

ბაჩო: სიმთვრალე უყვარს.

მაია: და სანამ დათვრება?

ბაჩო: მაინც ვერ იკავებ თავს, ხომ?

მაია: რისგან?

ბაჩო: ზრუნავ.

მაია: მართალია. მაპატიე.

ბაჩო: მე რა უნდა გაპატიო.
მაინც არ მიპასუხე წინა კითხვაზე.

მაია შეყოვნდება.

მაია: მე. იქ არავინ არავისზე არ ზრუნავს. მხოლოდ თავის თავზე.

ბაჩო: მერე, როგორ უძლებ მაგას?

მაია: არ ვიცი. ვერ ვუძლებ...

ბაჩო: მოფერება ხომ შენც გჭირდება.

ბაჩო და მაია დიდი სარკის წინ აღმოჩნდებიან. წინ მაია დგას, სარკეს უყურებს, უკან კი ბაჩო უდგას, ყურში ეჩურჩულება, ნელა ეფერება და ბოლოს კოცნის.

ბაჩო: შენნაირ ქალზე როგორ შეიძლება არ იზრუნოს კაცმა?

მაია: ჩემნაირ, როგორ ქალზე?

ბაჩო: ძლიერ, მტკიცე ქალზე - ზუსტად რომ იცის, რა უნდა. თამაში უნდა, მხოლოდ ზომიერი (სახეზე ეფერება). ქალზე, რომელსაც ვნება უნდა და ვნებით ცხოვრება (კისერს უკოცნის) ლეოპარდივით ქალზე, მწიფე, სისხლით სავსე ტუჩებით, გველივით მოქნილი სხეულით.

მაია: მე, არ შემიძლია -

ბაჩო: ჩჩუუ ჩუუუ...
ზედმეტად დამოუკიდებელ ქალზე, რომელსაც ყურადღება უთქმელად უნდა *(მკერდზე ძლიერად ჭიდებს ხელს და სხეულზე მაგრად იხუტებს)*, სჭირდება, რადგან სიამაყე და სიძლიერე უფლებას არ აძლევს, სურვილები გამოხატოს. ქალს, რომლის სხეულსაც მოდუნება და გამოღვიძება სჭირდება, სხეულს, რომელიც

მწიფეა ედემის ვაშლივით, ვნებით და ინტერესით. ქალს, რომელიც თან გველია, თან ევა... ზოგჯერ ყველა იმსახურებს ნიღბის ჩამოგდებას და შერწყმას საკუთარ სურვილებთან...

სცენის დასასრული.

მეორე მოქმედება.
სცენა I.

მეორე დღის დილაა. განთიადია. დიდი ოთახი ცარიელია. მარგო გასაღებით აღებს კარს, შემოსვლისთანავე გასაღებს სადღაც მოისვრის. გამოდის ხალათშემოცმული მაია, მარგოს არ ელოდა.

მაია: უაიჰ, მოხვედი.

მარგო: ჰალუცინაცია თუ არ ვარ, კი.

მაია: კარი ვინ გაგიღო?

მარგო: ჰალუცინაციებს არ სჭირდებათ ღია კარი...

მაია: არა, მართლა.

მარგო: როგორც აღებენ ხოლმე, გასაღებით.

მაია: შენ გაქვს გასაღები? მარიამი ეძებდა, სად არის?

მარგო: სადღაც მივაგდე, აქ იქნება.

ბაღიდან შემოდის ბაჩო.

ბაჩო: ვაახ, მოხვედი შეჩემა.

მაია: ყავას გავაკეთებ.

მარგო მაიას არ აშორებს თვალს.

მარგო: არ გშიათ?

ბაჩო: აუ, მაგრად. ძაან მოშიებული ვარ. სად იყავი?

მაია: გავაკეთებ რამეს.

მარგო: გამოვიცვლი და მოვალ.

მაია სამზარეულოსკენ მიდის, მარგო ოთახში შედის, გზად წამით ჩერდება და სარკეში იხედება. სარკიდან უყურებს ბაჩოს.

მაია: თითქოს არც არაფერი მომხდარა...

ბაჩო: სისუსტე...

მაია: ჰო. არ ვიცი, ვინ არის ჩვენ შორის უფრო სუსტი სინამდვილეში.
გუშინ ვეღარ გითხარი, ამ ყველაფრის მერე.

ბაჩო: რა?

მაია: შენი ციხის ისტორია ძალიან ჩამრჩა.

ბაჩო: ჰოო?

მაია: ვიგრძენი, რამდენად მნიშნელოვანი მომენტი იყო შენ ცხოვრებაში, ალბათ გადააფასე ბევრი რაღაც.

ბაჩო: მთელი ცხოვრება შემეცვალა მაგ დღის მერე.

მაია: თითქოს მეც ახლა მეცვლება... და რა გზით წავა, არ ვიცი.

ბაჩო: რა იცვლება?

მაია: არ ვიცი... ვერ გიხსნი. შეგრძნება�ა.

ბაჩო: მე ვიცი, რაც იცვლება.

მაია: რა?

ბაჩო: აქ დარჩები.

მაია: ნუთუ?

ბაჩო: ნახავ, დარჩები.

მაია: რანაირად, მთელი ცხოვრება იქ მაქვს.

ბაჩო: მიზეზი თუ მოგეცემა, დარჩები...

მაია: ვერაფრით...

ბაჩო: რა გელოდება იქ ეგეთი?

მაია: ცხოვრება... და, ჩემი დახმარება სჭირდებათ აქ.

ბაჩოს: სახლს თუ გაყიდი?

შემოდის მარგო ტელეფონით ხელში, მაიას აწვდის. თავს ინაზებს.

მარგო: მაიკუნ! ჯონი გირეკავს. ჰა, გამომართვი, რა იყო.

მაია ტელეფონს ართმევს და გადის.

მარგო: მმმ, ყავა რა კაია!
რა ქენით თქვენ გუშინ?

ბაჩო: რავი, არაფერი... შენ გელოდებოდით, ვლაპარაკობდით. მარიამი და თომაც იყვნენ...

მარგო: მმმ...
იცი, ჯონი ვინ არის?

ბაჩო: ვინ?

მარგო: არ უთქვამს? მოვა მარგო და გეტყვის... ჰკითხე ოღონდ, თორემ შეიძლება არც გითხრას.

შემოდის მარიამი.

მარგო: მარიამუშკა! შენც არ გეძინა!?

მარიამი: ვაიმე, ბაჩო, ვერ დაგინახე. კიდევ აქ ხარ?
კი, მეძინა. შენ როგორ ხარ?

მარგო: დაბნეული ვარ, სიმართლე რომ გითხრა.

მარიამი: რამ დაგაბნია.

მარგო: მაიამ.

მარიამი: გეძინა?

მარგო: სად? ქუჩაში? არა, არ მეძინა.

მარიამი: მაია სად არის? ხმა გავიგე? აუ, როგორი დაღლილი იქნება -

მაია: ჯონის ელაპარაკება.

მარიამი: სად ეძინა მაიას, ისე?

ბაჩო: არ გვეძინა - მარგოს ველოდებოდით.

ბაჩო აივანზე გადის. სიჩუმე.

მარგო: ეს შენი სიჩუმე მაგიჟებს.

მარიამი: არაფერი მაქვს სათქმელი.

მარგო: წყობიდან გამომიყვანა მაიამ, რა ჩემი ბრალია. ღადაობ, ვერ გაიგე რაც თქვა?! გუშინ შენზეც გადმოვედი, შენ საიდან უნდა გცოდნოდა, მაპატიე... გადამეკეტა, მაგრამ სახლის გაყიდვა!?

მარიამი: მარგო, რა საშინელი სუნი აგდის.

მარგო: აუუ, შემარგე რა, პახმელია.

მარიამი: საიდან მიხვდი, რაღაცას რომ არ ამბობდა?

მარგო: კარგი რა, ჩემზე კარგად ვინმე იცნობს მაიას? ხანდახან ვნატრობ, ნეტა არ ვიცნობდე-მეთქი.

მარიამი: ისიც ასევე გიცნობს.

მარგო: სისულელეა. ჰგონია, რომ მიცნობს, მაგრამ თავის წარმოდგენის იქით ვერაფერს ხედავს...

მარიამი: ჰოდა, იქნებ შენც ეგრე ხარ.

მარგო: თავს რატომ ისულელებ?! სახლს ყიდის, გესმის!?

მარიამი: ნუ ყვირი.

მარგო: მაინც მაგის მხარეს იჭერ?! /ვერ ხვდები, რომ შენ საერთოდ არ აინტერესებ?/

მარიამი: გული კი გაუსკდა...

მარგო: ვის?

მარიამი: და ძალიან ინერვიულა. ვერ მიხვდა.

მარგო: ვინ?

მარიამი: ვინ? ვინ და მაია, ვინ.

მარგო: ყველაზე მეტად მგონი ბაჩოს გაუსკდა გული. თან მოეწონა კიდევაც.

იცინის.

მარიამი: რატომ უნდა მოსწონებოდა?

მარგო: არის კაცების ეგეთი კატეგორიაც...
მაიას აბამს მე მგონი.

იცინიან.

მარგო: მგონი, მაიასაც მოწონს.

მარიამი: გაგიჟდი -

მარგო: ჰო, მე გავგიჟდი, გაახილე თვალები, მარიამ.

შემოდის მაია, მიდის მარიამთან და კოცნის.

მაია: როგორ ხარ? დაისვენე ცოტა?

მარიამი: რამდენი ხანია არ ვყოფილვართ სამნი ერთად ამ სამზარეულოში...

მარგო: ბაჩოა აივანზე.

მაია: ვაი, სულ დამავიწყდა.

მარიამი: რაო ჯონიმ?

მაია: ჯონიმ? არაფერი. მოგიკითხათ.

მარიამი: არ აპირებს ჩამოსვლას?

მაია: არა... ჯერ ვერ.

თითქოს მარიამის გასაგონად ეკითხება.

მარგო: ბაჩომ იცის?

მაია: რა?

მარგო: ჯონიზე.

მაია: არ ჩამოვარდნილა თემა.

შემოდის ბაჩო. მაია დეგისგან ფარულად უახლოვდება.

მაია: ბაჩო, ბოდიში რა, ვერ გაქცევ ყურადღებას, იმდენი ემოციე...

მარგო (მარიამს): ხედავ შენ, როგორ დამეგობრებულან...

მარიამი: ხომ არ ეჭვიანობ?

ბაჩო: მოდი რა, ერთი წუთი, რაღაც მინდა გკითხო.

მაია: მისმინე, დღეს რომ შევხვდეთ, საღამოს? მარტოები?

ბაჩო: მოდი ერთი წუთი აქეთ, რაღაც მინდა გკითხო.

მაია: საღამოს რომ შევხვდებით, დავილაპარაკოთ, კარგი? ახლა ძალიან ემოციური ვარ, ამათთანაც მინდა ლაპარაკი.

მაია ფაქტობრივად სახლიდან აგდებს, ბაჩოს ნივთებს კრეფს და კართან მიდის.

ბაჩო: რომელზე?

მაია: შვიდისთვის? დაგირეკავ მანამდე.

ბაჩო: სად დამირეკავ?

მაია: მარგოს ხომ აქვს შენი ნომერი, გამოვართმევ.

მარგო: კარგად, ბაჩო!

ბაჩო: აბა ჰე! მაია, გელოდები იცოდე.

ბაჩო გადის. მაია ამოისუნთქავს, სარკესთან მიდის.

მარგო: რა ანერვიულებული ხარ მაი, კარგად ხარ?

მაიას არ უნდა, მარიამმა გაიგონოს.

მაია: ჩჩჩუუ...

მარგო: რას ეტყვი?

მაია: ასეთი ბოროტი როგორ ხარ?

მარგო: მე მგონი, ამ შემთხვევაში შენ უფრო ბოროტი ხარ...

მაია: რატომ ერევი სხვის ცხოვრებაში?

მარგო: გამაცინე!

მარიამი: ბაჩომ ალბათ მაგრად ინერვიულა, ამდენ ხანს რომ დარჩა.

მარგო: ინერვიულა არა, ჩემი ფეხები... მაიას გამო დარჩა.

მარიამი: შენ გამო?

მაია: ილუზიებშია ეს შენი და, ხომ იცი.

მარგო: კი, ყველაფერი მელანდება. ფაქტობრივად გააგდე, როგორც კი დაგირეკა -

მაია: არ იყო დრო? არ შეიძლება დავილაპარაკოთ?

მარიამი: მართლა, რა...

მარგო: დავილაპარაკოთ. რომელი წლიდან დავიწყო? მაია, იცი, მე რა მეწყინა შენგან? 6 წლის რომ ვიყავი, მომატყუე -

მარიამი: ოოოო, სერიოზულად შეგიძლია? თუ დაგავიწყდა, გუშინ რაც მოაწყვე?

მარგო იტრუნება.

მაია: (ძირითადად მარიამს): ვფიქრობდი გუშინდელზე და ბოდიშის მოხდა მინდა... ამდენ ხანს რომ ვერ ჩამოვედი, /ახლა ვხვდები ალბათ, როგორ გჭირდებო-/

მარგო: /არ ჩამოხვედი./

მაია: კი ბატონო, მართალი ხარ. არ ჩამოვედი. მაგრამ მიზეზები მქონდა.

მარგო: არ გინდოდა -

მაია: რატომ გგონია, რომ ხუთი თითივით მიცნობ და ჩემზე ყველაფერი იცი?

მარგო: შენ კიდევ, რატომ გგონია, რომ სულ იცვლები?/ რაც ხარ, ეგ ხარ, რა -

მაია: /ვიცვლები, სულ ვმუშაობ საკუთარ თავზე და, რა თქმა უნდა, ვიცვლები.

მარგო: ადამიანები არ იცვლებიან. ერთეულები იცვლებიან.

მაია: სისულელეა, პირიქით. სულ ვიცვლებით. ყოველ წამს და წუთს. გუშინდელი დღის მერე მე შევიცვალე -

მარგო: ჰოო? როგორ შეიცვალე?

მაია: რა აზრი აქვს შენთან ლაპარაკს? მაინც ყველაფერს უკუღმა იგებ -

მარიამი: მაი, მე მითხარი, ხომ იცი, რა ჯიუტია.

მარგო: აა, მორიგდნენ, დაიკოები.

მაია: არ გაინტერესებს, რა მაქვს სათქმელი?

მარგო: მაინც არ იტყვი სიმართლეს.

მარიამი: /რატომ არ იტყვის? რა გჭირს, მარგო?/

მარგო: კარგი, ჰო, თქვი. მაპატიეთ.

მაია: რას გულისხმობ, არ ვიცი, მაგრამ შენც ბევრი გაქვს საღიარებელი.

მარიამი: ყველას გვაქვს, ალბათ.

მაია: ჰოო. ყველას. და პირველ რიგში შენ მინდა მოგიხადო ბოდიში, ძალიან პატარა იყავი, დედა რომ გარდაიცვალა და ფაქტობრივად სულ მარტო დარჩი, მე უნდა -

მარიამი: მაი, ჩემთან საბოდიშო არაფერია, ყველას ჩვენი ცხოვრება გვაქვს და არა მგონია სხვისთვის რამის მოთხოვნის უფლება გვქონდეს.

მაია: არა, შენ ძალიან პატარა იყავი.

მარიამი: /მარგო ხომ იყო./

მაია: ჯერ კიდევ ხარ. ამდენს მარტო არ უნდა აკეთებდე. ველურებივით ცხოვრობთ... არ გეწყინოთ. გასაგებიც არის, სინამდვილეში, შენც და მარგოც

პატარები ხართ, არადა, შენ უნდა სწავლობდე, კი, არ უნდა ზრუნავდე ამ ყველაფერზე.

მარგო: სწავლობს მერე, რა გინდა? სხვას რას აკეთებს, რომ -

მარიამი: კარგი რა, მაია. ხალხს გაცილებით უარესი ცხოვრება აქვს, ეხლა უბრალოდ რთული პერიოდი გვიდგას...

მარგო: აი, რა რთული პერიოდი? ახლა კი არა, სამი წლის წინ იყო რთული პერიოდი -

მარიამი: ჩემთან არავითარი ვალდებულება არ გაქვს, 21 წლის ვარ, და ისედაც ძალიან გვეხმარები -

მაია: ზუსტად, 21 წლის ხარ და მარტო შენს თავზე უნდა ფიქრობდე.

მარგო: რაებს ბოდავთ ან ერთი ან მეორე? ეს შენი ინგლისური მენტალიტეტი შეგიძლია ცოტახნით გადადო, საქართველოში ვართ! სულ გაგიჟდი მე მგონი.

მაია: ანუ შევიცვალე?

მარგო: ან შენ, მარიამ, რა დაგემართა? რატომ არ უნდა დაგეხმაროს? შენი უფროსი დაა და აბა, ვინ უნდა დაგეხმაროს? არც დედა გყავს და არც მამა.

მაია: ყველასთვის სამართლიანი რომ იყოს, მაგიტომ ვიფიქრე, გავყიდოთ-მეთქი ეს უზარმაზარი სახლი.

მარგო: /რა ბრწყინვალე იდეაა! ყოჩაღ მაიკუნ./

მაია: ყველას ჩვენი წილი გვექნება და რასაც გვინდა, იმას გავაკეთებთ.

მარგო: /აი, ხომ ვამბობდი! არა, გენიოსი ვარ, რა!/

მაია: სამ პატარა სახლსაც ვიყიდით და მარიამის სწავლასაც გადავიხდით. რას ფიქრობთ? მარგო, ვიცი -

მარგო: არაფერიც არ იცი! ხო ვამბობდი, მარიამ!

მაია: რას ამბობდი?

მარგო: ჩვენ გამო არ ჩამოდის-მეთქი.

მაია: თქვენზე რომ ვფიქრობ, მაგიტომ. მწერალი ხარ, ბოლოს და ბოლოს, არ გინდა, შენი სივრცე რომ გქონდეს?

მარგო: შენ რა იცი საერთოდ, მე ვინ ვარ?

მაია: შენ რას ფიქრობ, მარიამ?

მარიამი: ეს სახლი გავყიდოთ?

მაია: ჰო ეს. რა მოხდა?

მარგო: რა მოხდა და ენანება. ჩვენი მშობლების სახლია ბოლოს და ბოლოს...

მაია: სიკვდილის სახლია -

მარგო: მართლა ხომ არ გაგიჟდი, რა ჩაგისაფრდა? ეგეთი რა გადაიტანე ინგლისში?

მაია: ინგლისში კი არა, აქ! აქ რა სიბოროტეც მაქვს ნანახი და ტოქსიკურობა...

მარგო: „ტოქსიკურობა“ - უკაცრავად, მაიკუნა, წამებაში გაატარე ბავშვობა?

მაია: შეხედე აქაურობას, მარგო... არაფერი არ შეცვლილა ამ სახლში, ნორმალურია? მეგონა, დროში დავბრუნდი, ბებოს და დედას ხმები ჩამესმის ხოლმე - ლამისაა, ბაღიდან შემომძახებს...
იმავე ოთახში გძინავთ, ერთად!

მარგო: და მერე რა?

მაია: ბაღიც გახმა, ბებოს სასწაული ბაღი...

მარგო: მაგას ხელს მე ვერ ვახლებდი.

მაია: ჰოდა მაშინ რად გვინდა? მარიამ.

მარიამი: არ მიფიქრია არასდროს... უცნაურია. ვერ წარმომიდგენია.

მარგო: ისევ ტიპური მაია. უნდა გაგვაკონტროლოს, დაგვშალოს და წავიდეს.

მაია: მარგო, რა ვერ მაპატიე ეგეთი? რა დაგიშავე?

მარგო: „ყოველთვის მართალი მაია“.

მაია: რა გინდა, რამე არასწორს ვამბობ?

მარგო: კი.

მაია: რას?

მარგო: ჩვენ მაგივრად იღებ გადაწყვეტილებას.

მაია: გეკითხებით, ხომ არ ვყიდი?

მარგო: შენ გჭირდება დახმარება? ჯონის გაუჭირდა?

მაია: რა შუაშია. არა, ჯონის არ გაუჭირდა.

მარიამი: მართლა, შენ ხომ არ გჭირდება რამე?

მაია: არა, ჩემთან ყველაფერი ძველებურადაა... უბრალოდ, ასე უფრო სწორია.

მარგო: ვისთვის?

მაია: ჩვენთვის, ყველასთვის. თან ვირივით ვმუშაობ, დავისვენებდი ცოტას...

მარგო: ანუ ველარ გამოაგზავნი ფულს?

მაია: რა შუაშია ეგ! მაგრამ თქვენც ხომ გეყოლებათ თქვენი ოჯახები...

მარგო: მე მომწონს ეს სახლი... მომწონს კი არა, მიყვარს და მთელი ჩვენი ცხოვრება აქ მაქვს გატარებული. ოჯახი თუ მეყოლება, ზუსტად ამ სახლში წარმომიდგენია, სხვაგან ვერა. ყოველივე პატარა ნივთს ისტორია აქვს. მე უარზე ვარ -

მაია: შენი აზრი გასაგებია, მაგრამ მარტო შენზე არაა.

მარგო: არც შენზე.

მაია: და მარიამზე არ ფიქრობ?

მარგო: რა? მარიამს ოდესმე სახლის გაყიდვა მოუნდებოდა თუ არა? რა თქმა უნდა, არ მიფიქრია!

მაია: კარგად ყოფნა არ გინდა?

მარგო: რა შუაშია?

მაია: იქნებ იმიტომ ხარ ასე...

მარგო: როგორ „ასე“?

მაია: ნერვიული ხარ და აგრესიული.

მარგო: ოოო, სულ ეგეთი ვიყავი. მერე?

მაია: შეხედე აქაურობას - ჯერ კიდევ ერთ ოთახში გძინავთ, არაფერი არ შეცვლილა.

მარგო: რა არის ეგეთი გასაოცარი?

მაია: მარიამ, შენც ვერ ხედავ პრობლემას?

მარიამი: კი, მაგრამ -

მარგო: /რა პრობლემას ხედავ?/

მარიამი: /მაგრამ ასე მარტივი არ არის./

მარგო: რა არ არის მარტივი? მარიამ, ნუ მაგიჟებ.

მაია: შეხედეთ ამას, შეხედეთ...

მიდის ბებოს ოთახში, კარადების კარებს აღებს და ნივთების ამოლაგებას იწყებს, ოთახიდან მხოლოდ ხმა ისმის .

მაია: მუზეუმში ხართ! ჩულქები...

მარგო: ეს სულ გაგიჟდა.

მაია: კიდევ ჩულქები, რამდენი ჩულქია! ნაჭრები, ეს რა ნაჭრებია!
ფუუ, რა მტვერია...

მარიამი: აუ, მაინცდამაინც ბებოს ოთახში შევიდა.

იცინიან.

მარგო: ყველაფერს ინახავდა, კარგი კომუნისტივით.

მაია: ქილები!

იცინის.

ქილებს რაღატომ ინახავდა კარადაში, გიჟი ქალი...

მარგო შედის.

მარგო: ღამის ქოთანი ხომ არ არის ეგ... ვაიმე - სურათები.
ესენი რამდენი ხანია არ მინახავს...

მაია: შეხედე, რა მტვერია.

მარგო: ბავშვობის სუნია.
მარიამ მოდი!

მარიამი დიდ ოთახს ათვალიერებს. მივა აივანთან, გააღებს ფანჯარას, გზად რაღაც ნივთებს შეავლებს ხელს, სარკესთან დადგება, საკუთარ სხეულს დაათვალიერებს...

მაია: ნახე, რამდენი ლიფი ჰქონია.

კვდება სიცილით.

მარგო: ზუსტად ბებოს ტანი გაქვს შენ ისე.

მაია: მეე? შენ გაქვს აშკარად - შენ შეგხვდა ეგ ბედი.

ნუ აი, შეხედე, რა ხდება, და მთელი სახლი ასეთია.

მაია გამოდის დიდ ოთახში, მარიამთან მიდის.

მაია: რა ლამაზი ხარ, მარიამ. შენ დედას სილამაზე შეგხვდა.
და სიკეთე.

მარიამი: ხანდახან, სარკეში რომ ვიყურები, მეშინია ხოლმე, ისე ვგავარ.

მაია: მარტო გარეგნულად.

მარიამი: ეს კი აღარ გაჩერდება.

მაია: კარგია, დაალაგებს.

მარიამი: აღარ გაჩერდება...

მარგო ბებოს ოთახიდან შესძახებს.

/მარგო: რაო? რას იძახით ჩემზე?/

მაია: რას ფიქრობ, მარიამ, შენც თქვი შენი აზრი.

მარიამი: მარგოზე როგორ იმოქმედებს, არ ვიცი...

მაია: მოდი, მარგო!

გამოდის მარგო, ხელში ნივთები უჭირავს, გახარებული სახე აქვს.

/მარგო: ახლა ხომ მიხვდით, რატომაც არ შეიძლება ამ სახლის გაყიდვა?/

/მაია: ახლა ხო, მიხვდით, რატომაც უნდა გავყიდოთ ეს სახლი?/

პაუზა.

მარიამ, შენ რას ფიქრობ?

მარიამი: ფაქტია, რომ ვერ ვქაჩავთ მარტო მე და მარგო. ცოტა მოჩვენებებივით ვართ - მეც მაწუხებს, მგონია, რომ ჩემს ყველა ქმედებას დედა აფასებს.

მარგო: ასე თუ ფიქრობდი, აქამდე რატომ არაფერი არ თქვი?

მარიამი: როდის უნდა მეთქვა, მარგო? როცა გნახულობ, ან მთვრალი ხარ, ან ხალხია შენთან, ან - ასე ხარ.

მაია: ღმერთო -

მარიამი: აქამდე არასდროს არ მიფიქრია, ვერც კი დავუშვებდი... ახლა კი მომწონს ეგ იდეა.

მაია თვითკმაყოფილი სახით უყურებს მარგოს.

მარგო: არ მჯერა! მარიამ, შენით მანიპულირებს!

მარიამი: ორნი ამხელა სახლში, მართლა ძალიან რთულია... რა საჭიროა?

მარგო: ძლივს ბედნიერი ვიყავი და ახლა რას მიკეთებთ? მარიამ, ეს არ გამიკეთოთ, ამ სახლიდან არ გამაგდოთ -

მარიამი: ვინ გაგდებს, მარგო, დამშვიდდი.

მარგო: ვერ ვიჯერებ, ღმერთო, ვერ ვიჯერებ. მარიამ, ეს რა გამიკეთე.

მაია: მარგო, გეყოფა რა, ეს უაზრო დრამები.

მარგო: არ გინდა, რომ ბედნიერი ვიყო?

მარიამი: მარგო, როგორ არ მინდა, რას ამბობ.

მარგო: აბა, რას მიკეთებ? შენც? მაია ესეთი რომ იყო, ვიცოდი.

მაია: დაიწყო ახლა.

მარგო: ამ ნივთებს ხელი არ ახლოთ! ყველაფერს მე წავიღებ. გაიგეთ!? ხომ ორივე ხართ აქ - დაიმახსოვრეთ: ნივთებს ხელი არ ახლოთ.

მარიამი: ხვალ ხო არ გადავდივართ, მარგო, დამშვიდდი, რა დაგემართა.

მარგო: გეგონოს. ხვალვე მოგიყვანს მაკლერს და ეგ იქნება - ქუჩაში გაგვყარა საკუთარმა დამ.

იღებს რაღაც ნივთებს და ბებოს ოთახში შედის.

მარიამი: მაი, ხომ ხედავ, შენც ხომ ხედავ, არ არის კარგად. ყურადღება სჭირდება.

მაია: მარიამ, ბავშვი ხომ არაა?

მარიამი: ვნერვიულობ, მაი... ხომ ხედავ...

მაია: კარგი რა, დროა გაიზარდოს.

მარიამი: არა, მაგაზე არ არის. ვერ ხედავ, ცუდადაა.

მაია: სულ ცუდად იყო, დამიჯერე. ყველას ასე ატყუებდა.

მარიამი: ვისთან ერთად უნდა იცხოვროს?

მაია: მარტო, რა თქმა უნდა - ძლივს! აი, ნახავ, როგორ მოუხდება.

მარიამი: არა მგონია... ვერ იცხოვრებს.

მაია: ჯერ დედა უვლიდა, მერე - შენ... მარტო ხომ უნდა იყოს ოდესმე. გაძლიერდი, თორემ შენ შემოგისახლდება. თომასი მაინც არ გერიდება?

გაეცინება.

მარიამი: ისე კი კარგი იქნება ჩემთვის და თომასთვის. ოღონდ ეგეც აღარ წარმომიდგენია.

მაია: ყველა წყვილს სჭირდება საკუთარი სივრცე, რომელშიც, რა თქმა უნდა, შენც გექნება საკუთარი სივრცეც! ეგ არ დაგავიწყდეს! მთავარია არ იჩქარო, მარიამ.

გაიგე? მაგიტომ უნდა იცხოვროთ ერთად, მარტოებმა, რომ არ იჩქაროთ და ჩამოყალიბდეთ. გაიგე?!

მარიამი: გავიგე. გავიგე. მაგრამ მარგო - მარგო რას იზამს?

მაია: შენ არ ინერვიულო, მე მივხედავ მარგოს. ოღონდ მისახედი არაფერი არ სჭირს.

მარიამი: არ ვიცი... გული მიკვდება, ცუდად რომაა.

მაია: მარიამ, ბოლოს როდის იყავით სადმე შენ და თომა?

მარიამი: უიმე... არ მახსოვს. რატომ მეკითხები?

მაია: ჰოდა, ცოდო არ არის ეგ ბიჭი? სულ აქ გყავს გამომწყვდეული ალბათ და მარგოს პრეტენზიებს უსმენს, ხომ ასეა?

მარიამი: დაახლოებით. არა, კარგი დღეებიც არის, მარგოც ძალიან საყვ-

მაია აწყვეტინებს.

მაია: ჰოდა, დაისვენეთ დღეს, გადით სადმე, მეგობრები ნახეთ ან კინოში წადით, არ ვიცი, რას აკეთებენ დღესდღეობით შენხელა წყვილები - არ გინდა?

მარიამი: თომას კი გაუხარდებოდა, დიდი ხანია უნდა, რაღაც ადგილი მაჩვენოს.

მაია: ჰოდა, წადით, სიყვარულო, საღამო ერთად გაატარეთ.

მარიამი: ძალიან კი გაუხარდება. ვეტყვი ახლა...

ოთახისკენ მიდის დასარეკად

მადლობა, მაი!

მაია, ერთი საქმის მოგვარებით დაღლილი და კმაყოფილი, ღელავს. შემდგომ ნაბიჯებზე ფიქრობს. იღებს ტელეფონს, ცოტა ხანს ფიქრობს, დარეკოს თუ არა - რეკავს. ნერვიულობს.

მაია: ალო. ჯონი. წეღან ვერ დაგელაპარაკე... მისმინე. გამიხარდა, რომ დამირეკე. ააა, მარგომ დაგირეკა. აჰა. აჰა. კარგად არიან, ყველაფერი ძველებურად. შენ სად ხარ? რა გინდა მაიკთან? მთელი შაბათ-კვირით, კიდევ? მისმინე... ბევრს ვფიქრობ ჩვენზე და მინდა - (აწყვეტინებს)... არა. ფული არ მჭირდება.

ტელეფონს კიდებს. ძალიან გაბრაზებული და ანერვიულებულია.

შემოდის მარიამი.

მარიამი: მაი, ყველაფერი კარგადაა?

მაია: ჰა? კი, კი... ჯონის ველაპარაკე. მარიამ -

მარიამი: თქვენ კარგად ხართ მაინც

მაია: /ჰოო, არ ვიცი - /

მარიამი: აქ ყველა რაღაც თამაშებს თამაშობს.

მაია: თომა?

მარიამი: მე და თომა სხვანაირად ვართ, მეგობრები ვართ - არაფერი არ გვაქვს სათამაშო, ერთმანეთს არაფერს არ ვუმალავთ.

მაია: მერე, ეგ არის იშვიათი... /იქ ეგ საერთოდ - /

მარიამი: /ჰოო, ალბათ მეც გამიმართლა.../ მოკლედ, შვიდისთვის გავალ. თომამ დიდი მადლობა შემოგითვალა.

მაია: მე დავწვები, ცოტას დავისვენებ....

მარიამი: მე მარგოს დავხედავ - მოგიმზადებთ მალე ოთახს.

მარიამი ბებოს ოთახში შედის, მარგოსთან.
მაია მარგოს ტელეფონს იღებს. ბაჩოს ნომერს პოულობს.

მაია: ალო. ბაჩო. მაია ვარ. 7-ზე შეხვედრა ძალაშია. გეგონა, არ დაგირეკავდი... სიტყვას არ ვტეხავ. კი, კი... არა, ჩემთან არა. ოღონდ აქედან წავიდეთ, სადმე შორს. გამომიარე. დროებით.

სცენის დასასრული.

სცენა II.

საღამოს 7 საათია.

მარგო დიდ ოთახშია, უამრავი ნივთი აქვს გამოტანილი და ნელ-ნელა ალაგებს. შემოდის მაია.

მაია: დედა, რას გავს აქაურობა.

მარგო: შენ გითავისუფლებ ოთახს.

მაია: ხომ ხედავ, რა კარგია დალაგება - რაც შიგნით, ის გარეთ.

მარგო: ესე იგი, შენსასაც მე ვალაგებ.

მაია სარკესთან დგება და ემზადება. შემოდის მარიამი, ასევე წასასვლელად გამოწყობილი.

მარგო: როგორც იქნა, დაგპატიჟა სადმე თომამ? ასეთი მუდო წყვილი არასდროს არ მინახავს.

მარიამი ყურადღებას არ აქცევს.

მარიამი: მაი, სად მიდიხარ?

მარგო: ხო მაი, სად მიდიხარ? მეგონა, დები ერთად გავატარებდით საღამოს.

მაია: წინ არ გვაქვს მთელი თვე? მეტიც...

მარგო: სად მიდიხარ?

მაია: კლასელებს ვნახავ.

მარგო: ასეთი გაპრანჭული?

მარიამი: ძალიან კარგად გამოიყურები!

მარგო: თან მეგონა, ვერ იტანდი შენს კლასელებს.

მაია: რა სისულელეა, საიდან მოიტანე...

მარგო: ნახე, რა ვიპოვე.

მარგო მაიას ძალიან ძველ სათამაშოს აწვდის.

მაია: ჰაა, ეს კიდევ შენახული ჰქონდა?

მარიამი: რა არის?

მარგო: მაიამ დედასთვის გააკეთა მისი დაბადების დღეზე.

მარიამი: მანახე!

მარგო: ჰო, ჯერ მაშინ ბავშვის თავისუფლება ჰქონდა.

მაია: რაღა ბავშვის, 16-ის ვიქნებოდი... გვიან გავიზარდე ნამდვილად.

მარიამი: შევინახოთ.

მაია: გადააგდე, რად გინდა, ტურტლიანი.

მარგო: რა უნდა გადავაგდო. ხომ ვთქვით – ჩემი ნივთებია.

მაია: რაც გინდა, ის ქენი. მე არ დამანახო...

ტელეფონის შეტყობინების ხმა.

აი, გამომიარეს.

გასაღები?

მარგო: დაიკიდე.

მარიამი: გაგიღებთ.

მაია: შენც ხომ არ იქნები.

მარიამი: მარგო ხომ იქნება.

მაია: სიგიჟე... ერთი გასაღები. აბა, თქვენ იცით, მარიამ, გაერთე.

მაია გადის.

მარიამი: მე რომ მივდივარ, ხომ არაუშავს?

მარგო: რაებს მეკითხები, გასულელდი? ჩემი ძიძა ხო არ ხარ

მარიამი: კიდევ რა იპოვე, აბა, მანახე.

მარგო: უუფ, მთელი გამოფენის მოწყობა შეიძლება.

მარიამი: ეე, მაგარი იდეაა.

მარგო: კარგი ახლა, ყველა ჩემი იდიოტური იდეა არაა კარგი -

მარიამი: მარგო, რამხელა რაღაცებს ეჭიდები, მოდი, მოგეხმარები.

მარგო: წადი, რა, შენს თომას მიხედე, დამანებე თავი.

მარიამი: გაგიჟდი? ამას როგორ აწევ?

მარგო: ვაი, მადლობა.

მარიამი: დაისვენე, დაგველოდე, ერთად გავაკეთოთ.

მარგო: არა, ის ოთახი დღეს უნდა დავუხვედრო პრინცესას -

მარიამი: მარგო, ძალიან ცხელი ხარ.

მარგო: ჰოო? ისე, კი მცხელა...

მარიამი: ჰოო, დაჯექი, მაჩვენე...

მარგო: კაი რა, არაფერი არ მჭირს.

მარიამი: ხურხარ.

მარგო: 37-ზე მეტი არ იქნება.
მარიამი: მაღალი სიცხე გექნება.

მარგო: კარგი, მერე რა, ვინ არ ყოფილა ავად. წყალი მომიტანე.

მარიამი: ახლავე.

მარიამს მოაქვს წყალი. მერე რამდენიმე ყუთს მოათრევს.

მარიამი: ეს სად დავდო?

მარგო: დაანებე.

მარიამი: სად დავდო, თქვი.

მარგო: აი, იქით გაიტანე.

მარიამი: დაისვენე, აღარ ზიდო ეს ყველაფერი.

მარგო: არა, უნდა დავალაგო დღეს!

მარიამი: ნუ მოიკლავ თავს სიცხიანი.

მარგო: მართლა ორი წლის გგონივარ, ხომ?

მარიამი: კარგი, რა, რა შუაშია.
ავად ხარ აშკარად.

მარგო: გუშინ ღამე დამიბერა ალბათ და გავცივდი, დიდი ამბავი.

მარიამი: ჰოდა, დაწექი, დაისვენე.

მარგო: წადი, ადამიანო, წადი. თომა ხომ გელოდება.

მარიამი: ვაიმე, ჰო, თომა. არა უშავს. ვეტყვი, მოვიდეს.

მარგო: ოო, კარგი, რა.

მარიამი: ავად ხარ, მორჩა. თან დალაგებაში დაგვეხმარება.

მარგო: მარიამ! არ მინდა.

მარიამი: ვერ დაგტოვებ ეგრე - თომა გადაგვატანინებს რაღაცებს.

მარგო: ისე... ძალიან მძიმეები კია.

მარგო წამოწვება, მარიამი დალაგებას იწყებს. თანდათან ბნელდება.

სცენის დასასრული.

მესამე მოქმედება.

სცენა I.

*ერთი თვის შემდეგ. სახლი შეცვლილია – მცენარეები გამოჩნდა.
გამოდის მარიამი, გასაღებს ეძებს.*

მარიამი: სად ქრება ეს გასაღები, რისთვის დავალაგეთ?

შემოდის მაია.

მაია: რას ბურტყუნებ.

მარიამი: გასაღებს ვერ ვპოულობ.

მაია: გუშინ ხომ აქ დავდე.

მარიამი: გაქრა! გავგიჟდები, სულ ასე ქრება.

მაია: არა უშავს, ვიპოვით... როგორ არის მარგო?

მარიამი: ისევ ისე... არ ვიცი, რა ვქნა.

მაია: შენ რა უნდა ქნა?

მარიამი: არა, უცნაურია, უკვე ერთი თვეა.

მაია: ვირუსი აქვს, ეგ არაფერი, გაუვლის... ოცდაჩვიდმეტები რა არის... როცა ასე არ უვლის ადამიანი თავს, ადრე თუ გვიან აუცილებლად აგიჯანყდება ორგანიზმი...

მარიამი: ჰოო, შეიძლება...

მაია: ცოტა ხანში მოღონიერდება. მთავარია, ეს მდგომარეობა არ შეუყვარდეს.

მარიამი: სულ რაღაცას ეძებს, გადააწყობს, გადმოაწყობს.

მაია: შენ რა ქენი? სახლი მოძებნე?

მარიამი: არა ჯერ, მაი. დრო როდის მქონდა?

მაია: დარჩებით ქუჩაში და ეგ იქნება.

მარიამი: მყიდველიც არ ჩანს ჯერ... მოვძებნით. სახლების მეტი რა არის.

მაია: ყველაფერი ასეთი მარტივი როგორ გგონიათ შენ და შენს დას...
ადგილი იცი? ან ფასები იცი? ან რამხელა გინდა, ითვალისწინებ ოჯახს? ხომ უნდა ჩამოყალიბდე... ხალხი წლობით ეძებს ახალ საცხოვრებელ ადგილს.

მარიამი: არ შემიძლია ამდენ რაღაცაზე ფიქრი...

მაია: მარგოზე ხომ შეგიძლია.

მარიამი: ვიღაცამ ხომ უნდა იფიქროს?

მაია: რით ვერ გაიგეთ, რომ თქვენთვის კარგი მინდა! როგორ შეგაგნებინოთ, ჩემთვის კი არ ვყიდით ამ სახლს - უნდა დაფიქრდე ცხოვრებაზე, თორემ სპონტანურად იმოქმედებ და დარჩები ასე, ჩემსავით.

მარიამი: რას გულისხმობ?

მაია: არაფერს, არაფერს...

მარიამი: რით ხარ უკმაყოფილო?

მაია: ძალიან ბევრი რამით... თუნდაც იმით, რომ ჩემი არაფერი არ გამაჩნია. არ მინდა, თქვენც მოგივიდეთ ეგ შეცდომა.

მარიამი: ჯონი?

მაია: ჯონი, ჯონი... ყველაფერი ჯონი ხომ არ არის. მარიამ, დაფიქრდი შენს ცხოვრებაზე. ნუ აყვები ინერციას! თორემ რაღაც მომენტში გამოფხიზლდები და იკითხავ, რას შევწირე ცხოვრებაო.

მარიამი: კარგი რა, არაფერს არ ვწირავ.

მაია: გენებში გაქვს.

მარიამი: მერე ცუდია?

კარზე კაკუნია, მარიამი აღებს. შემოდის თომა, უჩვეულოდ კარგ გუნებაზეა.

თომა: მარიამ, მზად ხარ?

მარიამი: თითქმის, გასაღებს ვეძებ/

თომა: რა გაფითრებული ხარ, შენც ხომ არ გჭირს ვირუსი?

მაია: თომა, როგორ ხარ?

თომა: კარგი ამბავი მოგიტანეთ!

მარიამი: აბა?

მაია: კარგი ამბები გვჭირდება!

თომა: მყიდველი ვიპოვე, მგონი!

მაია: ვაი! არ მჯერა!

მარიამი: სად იპოვე?

თომა: თვითონ გამოჩნდნენ, დარეკეს. ოჯახია. ორი შვილი ყავთ, ბებოც მაგათთან ცხოვრობს, ავად არის და გადმოჰყავთ - ძაღლიც ჰყავთ, ამიტომ ეზოიან სახლს ეძებენ.

მაია: შენთან რატომ დარეკეს?

თომა: ჩემი ნომერიც ეწერა ერთ-ერთი.

მაია: ფასი? ფასი თუ იციან?

თომა: რა თქმა უნდა და თუ მოგვეწონება, არც შეგევაჭრებითო.

მაია: სასწაული! ვაშაა!

თომა: მოკლედ, დღეს მოდიან, საღამოს შვიდზე შევუთანხმდი.

მაია: ვაშაა! ვაშაა!

შემოდის მარგო

მარგო: რას აღვნიშნავთ?

მარიამი: მარგო, უკეთ გამოიყურები.

თომა: როგორ ხარ, მარგო?

მარგო: უკეთ. მგონი, უკვე კარგად ვარ.

მაია: ჩაიხედე სარკეში, აშკარად უკეთ ხარ - ფერიც დაგიბრუნდა.

მარგო: რას აღნიშნავთ?

თომა: მყიდველი ვიპოვეთ.

მარგო: ნუთუ?

მაია: სასწაულია არა? ფასზეც არ გვედავებიან.

თომა/მარიამი: თუ მოეწონებათ...

მაია: ჰო, თუ მოეწონებათ. ამიტომ, გოგოებო, ბინების ძებნა უნდა დაიწყოთ - სასწრაფოდ!

თომა: მარიამ! მზად ხარ? წამო, წავიდეთ.

მარგო: სად მიდიხართ?

თომა: რაღაც სახლი მინდა ვანახო, მე მგონი, ძალიან მაგარი სახლი ვუპოვე.

მაია: /ღმერთმა გაგახაროს, თომა/ აი, ადამიანი! ვიღაცა მაინც საღ აზრზეა.

მარგო: გააჩნია, ვის რა ამოძრავებს.

მარგო ოთახში გადის, მარიამი მიჰყვება.

მაია: თომა, მისმინე... შენ ხარ ჩემი ბოლო იმედი.

თომა: ანუ?

მაია: მარიამი შენ თუ დაგიჯერებს და შენ თუ გადაარჩენ.

თომა: რა გადარჩენა სჭირდება?

მაია: არ დათმო საკუთარი თავი - შენ რაც გინდა, ის არ უნდა დათმო, თორემ ორივეს შეგზიზღდებათ ერთმანეთი ადრე თუ გვიან, გაიგე? არც ერთმა არ უნდა დათმოთ - მით უმეტეს შენ. იმის ბუნებაა ეგეთი, შენ კიდევ უნდა მოითხოვო... დამიჯერე, მერე გვიანი იქნება. ჯერ ახალგაზრდები ხართ და ძალიან კარგები. არ იმსახურებ ამას.

თომა: ვერაფერი ვერ გავიგე - მე მიყვარს მარიამი.

მაია: ჰოდა, დაფიქრდი, რის ფასად... მოუარე მაგ სიყვარულს, ოღონდ სიცოცხლე არ შეიძულო მაგის გამო.

მარგო და მარიამი გამოდიან.

თომა: მარიამ, წავიდეთ, დაგვაგვიანდება.

მარიამი: მოვდივარ, მოვდივარ. მარგო, მაინც არ მომწონხარ.

მაია: წადით, წადით!

თომა: მარიამ!

მარიამი: რამე თუ დაგჭირდებათ, დამირეკეთ.

მარიამი და თომა გადიან.

მაია: მეც გავდივარ.

მაია სარკესთან მიდის და გასასვლელად ემზადება. მარგო კი წინ და უკან დააბიჯებს, ხან ჯდება, ხან დგება და გამუდმებით იმოწმებს შუბლს, სახეს, კისერს. ჰიპოქონდრიის ნიშნები.

მარგო: ბაჩოს ხვდები?

მაია: ხო. მეხმარება რაღაცებში.

მარგო: ჯონიმ თუ იცის?

მაია: რა გინდა, მარგო...

მარგო: ბაჩომ თუ იცის?

მაია: ვეტყვი.

მარგო: როდის? რომ ჩაალაგებ და გაფრინდები?

მაია: დაახლოებით მაინც იცის ყველაფერი.

მარგო: საწყალი ჯონი...

მაია წყობიდან გამოდის.

მაია: და მე?

მარგო: შენ რა?

მაია: არაფერი.

კეთილგანწყობით.

მარგო: ბაჩო მაინც ქართველი კაცია, არ დაგავიწყდეს.

მაია: კაცებს, გთხოვ, ნუ მასწავლი -

მარგო: მაინც მე რომ ვხდები შენი მესაიდუმლე...

მაია: არავის უთხოვია, საიდუმლო შემინახეო.

მარგო: უთხარი მაშინ მარიამს, შენზე მზე და მთვარე რომ ამოსდის - კი არ იცის, რომ მოღ-

მაია: არავინ არაფერს გთხოვს.

მარგო: კარგი, მაშინ დღეს ვეტყვი.

მაია: მარიამი დედა არააა. მაგის უფლებას არ მოგცემ.

მარგო: დედა რა შუაშია?

მაია: ვერ ხვდები, ცხოვრებას რომ უნგრევ? იმავეს არ გაგაკეთებინებ.

მარგო: ვის ატყუებ ამ ყველაფერს?

მაია: გადაწყვიტე, რა, ავადმყოფი ხარ თუ ჯანმრთელი. მარიამი აუცილებლად გადავა, სიტყვას გაძლევ.

მარგო: შენს სიტყვას რამე ფასი რომ ჰქონდეს.

მაია: ხვდები, მარტო რომ დარჩები? იქნებ მაშინ მოხვიდე აზრზე.

მაია გადის. მარგო იმოწმებს ხელებს, სახეს, კისერს, ოფლი ასხამს, არ იცის, რა ქნას.

მარგო: ბაღია მისახედი, ბაღი. ახლავე, დე... სუსტად რომ ვარ ძალიან?
დეე, სად გაქრი? გაიგე, ძალიან სუსტად ვარ. არ ვიცი, რა მჭირს, არაფრის ენერგია არ მაქვს.
გარეთ გასვლა მომიხდება, ხო, გავიდე ბაღში?
მარგო ფანჯარასთან მიდის.
ყველაფერი დამჭკნარია, დე. რა მოხდა? რა უქენი ბაღს?
მე ვუქენი? არა, გეშლება... არაფერი არ ჩანს, ყველაფერმა კონტურები დაკარგა...

მარგო რაღაცის ძებნას იწყებს. წითელ ნაჭერს იღებს. ხელში უჭირავს. კარზე კაკუნია.

მარგო: ვინ არის?

თემო: მარგო, მე ვარ.

მარგო: ვინ შენ?

თემო: მე, რა გჭირს.

არ გამიღებ? მარგო,
დღეს გამოაცხადებენ.

მარგო: რას გამოაცხადებენ?

თემო: არ შემომიშვებ? კონკურსის ამბავს...

მარგო ცოტა ფხიზლდება. ნაჭერს დებს. ისევ სხეულს იმოწმებს. კარს აღებს.

თემო: რა იყო, მარგო, რა გჭირს, კარგად ხარ?

მარგო: მოდი, დაჯექი, მოდი. ცოტა სუსტად ვარ... მე მგონი, გავცივდი.

თემო: ხო, რამდენი ხანია -

მარგო: ხოო? შენც იცი?

თემო: მარგო, ძალიან ცხელი ხარ.

მარგო: მითხარი.

თემო: აა, ხო, დღეს გამოაცხადებენ გამარჯვებულს.

მარგო: დღეს? უკვე გავიდა ერთი თვე?

თემო: ჰო. პიონერთა სასახლეში იქნება ცერემონია...

მარგო: რა საშინელებაა.

თემოს გაეცინება.

თემო: მოკლედ, შვიდ საათზეა. ხომ წამოხვალ?

მარგო: არაა, არა მგონია... ხომ იცი, როგორ არ მიყვარს -
ვერ ვარ კარგად.

თემო: კარგი რა, ეგ როგორ უნდა გააცდინო. შენი აღიარების დღეა. ზუსტად ვიცი, გაიმარჯვებ.

მარგო: თემო...

თემო: ჰო, მარგო, რა იყო?

მარგო: სულ მარტო ვარ.

თემო: არა, არ ხარ მარტო - ვერ ხედავ -

მარგო: რაღაც მჭირს...

თემო: რა?

მარგო: არ ვიცი, რაღაც მჭირს - დემონი მყავს. ამათ ჩემი არ ესმით, მაიას ჰგონია, რომ ბოროტი ვარ.

თემო: არ ჰგონია. უბრალოდ, უფსკრულია თქვენ შორის.

მარგო: ხანდახან მეც კი მგონია... არ მინდა ასე მოქცევა, საშინელებების თქმა, მაგრამ ჩემშია რაღაც, ვიღაც, ვინც ამას მათქმევინებს -

თემო: მარგო, არა უშავს, დამშვიდდი. ყველას გვყავს დემონები - შიშია-

მარგო: არა, ჩემში სხვანაირად არის...

თემო: არა, არაფერი არ გჭირს, უბრალოდ, ავად ხარ, მაღალი სიცხე გაქვს და გეჩვენება.

მარგო: მეჩვენება?

თემო: ჰო, ციებ-ცხელება გაქვს მე მგონი.

მარგო: ხოო, როგორც მაშინ, მართალი ხარ, თემო. კიდევ კარგი, აქ რომ ხარ, რას ვიზამდი უშენოდ.

თემო: მართლა ჯობია დარჩე, დაისვენო... ძალიან ცხელი ხარ.

მარგო: დავრჩე? რატომ?

თემო: ავად ხარ, ახლა არ თქვი?

მარგო: კი. როგორც მაშინ. მოიცა. მოიცა... აი... ხომ იქნები ჩემთან ერთად? ვიცი, რაც უნდა გავაკეთო, ვიცი. აი, ეს დამეხმარება.

თემო: მარგო, კი ვიქნები, მაგრამ მალე უნდა წავიდე, ხუთი საათია უკვე. რა არის ეს?

მარგო წითელ ნაჭრებს აწვდის და თან შლის.

მარგო: დავკიდოთ, დავკიდოთ ყველგან... ბატონები მოვიდნენ.

თემო: ტანზე შემახედე.

მარგო: რა?

თემო: ტანზე დაგაყარა?

მარგო: კი, ალბათ, მექავება ყველაფერი...

თემო: მოხდილი ხომ გაქვს?

მარგო: მეორედაც ხომ ემართებათ, უარესად.

თემო: კარგი, მოიცა ერთი წუთი, მარიამს დავურეკავ.

მარგო: ჩჩჩ... ჩუმად უნდა ვილაპარაკოთ. არ გავაბრაზოთ.

დე... დღეს დავისვენებ, ხო? ხომ ხედავ, ცუდად ვარ, და ბაღს ხვალ მივხედავ. ჰო, ვიცი, თბილისში ასეთი ბაღები აღარაა... ნუ ჩხუბობ, ერთ დღეში რა მოუვა.

თემო გადის, ურეკავს მარიამს. მარგო ოთახს წითლად რთავს.

კარზე ძლიერი კაკუნია, თავიდან თემოს და მარგოს არ ესმით. კარის მიღმა მაიას და ბაჩოს ჩხუბი ისმის.

ბაჩო: რა, ისევ ლონდონში აპირებ წასვლას?

მაია: არ ვიცი, ჯერ არ ვიცი -

ბაჩო: აბა, მატყუებდი? ასე, ჩვეულებრივად მატყუებდი?!

მაია: გააღეთ! რას აკეთებთ? არ გატყუებდი.

ბაჩო: ქმარი ხომ გყავს?!

მაია: ეგ ხომ იცოდი.

ბაჩო: მყავდაო.

მაია: შეიძლება ეგრეც იყოს, არ ვიცი.

ბაჩო: მოიცა, უნდა აირჩიო?

შენი სათამაშოები ვართ?!

მაია: ჯონიმ ყველაფერი იცის.

ბაჩო: რა იცის? სხვა კაცს რომ ტყნავ?

მაია: ბაჩო... მაპატიე.

ბაჩო: სააღოლ ეგეთ კაცობას.

მაია: გააღეთ. ბაჩო წადი, გთხოვ. გემუდარები, მერე დავილაპარაკოთ.

ბაჩო: არა, შენ ყოფილხარ, ვინც ყოფილხარ -

მაია: მე შენ არაფერს დაგპირებივარ.
გააღეთ!

თემო: ახლავე! ახლავე!

მაია: ხომ იცოდი, რომ წავიდოდი?

ბაჩო: მაგიტომ მალავდი? არ მჯერა, ბიჭო, არ მჯერა, ტო..

თემო კარს აღებს.

მაია: ძლივს! რა ხდება აქ?

თემო: ბაჩო, შენ აქ რა გინდა? მარგო, არ ვიცი -

მაია: სად არის?

ბაჩო: მაია...

მაია: მაცადე ახლა.

ეს რა არის!?

თემო: ბატონები მაქვსო.

მაია: რომელი საათია? გავგიჟდები.
სად არის მარგო?

თემო: ოთახშია. ძალიან ცუდადაა, მაია, არ ვიცი, რა ხდება.

მაია: რა ხდება და მარგო ხდება!

გამოდის მარგო.

მარგო: მაი, შენ ხარ? რა კარგია, რომ მოხვედი.

მაია შეშდება, მარგოს აკვირდება.

მაია: მარგო, რა ხდება აქ?

მარგო: დედამ როგორც გვასწავლა, ისე გავაკეთე. ძალიან დავიღალე, სულ მარტო ვიყავი.

მაია: თემოც ხომ იყო?

მარგო: თემო. თემო.. კი, კი, თემოც იყო, ვაიმე. არ წამოხვიდეო, მითხრა... არ უნდა, რომ წავიდე.

მაია: სად? შემომხედე... რა გჭირს?

მარგო: ვერ ხედავ? ბატონები მოვიდნენ.

მაია: სად, აბა? ვერაფერს ვერ ვხედავ... რატომ ჩააბნელე ასე?

მარგო: არა, არ შემეხო.

მაია: მოდი აქ.

მარგო: ჩჩშშშ...

მაია: რომელი საათია, იცი?

მარგო: ჩჩშშშ... არ იცი? ჩუმად უნდა ვიყოთ, თორე დაგვსჯიან.

ბაჩო: (თავისთვის) ვაახ ჩემი, პიზდეცი...

მაია: მარგო, მოდი აქ ერთი წუთით, დაგხედო... კარგი, არ შეგეხები, მე ხომ მოხდილი მაქვს.

თემო: ძალიან ცხელია, ციებ-ცხელება აქვს.

მაია: მარგო, შენც ხომ მოხდილი გაქვს, როგორ გექნება ბატონები?

მარგო: მოხდილი მაქვს?

მაია: კი, არ გახსოვს, პატარები ვიყავით.

მაია ცდილობს, ცოტა სინათლე შემოუშვას, მარგო კი მაიას ჩამოხსნილ ნაჭრებს უკან ამაგრებს.

მარგო: მოხდილი მაქვს? კიი... მახსოვს...

მაია: მერე? ზედმეტად ხო არ დაამთხვიე ეს ბატონები?

მარგო: /ნუ აღებ, ნუ/

თემო: / რას? /ნეტავ არაფერი არ მეთქვა./

მაია: რაზე?

მარგო: /ნუ აღებ, მაი/

თემო: /დღეს აცხადებენ გამარჯვებულს./

მაი: არა, არა, ეგ არაფერია. შვიდზე მყიდველი მოდის, სახლის.

ბაჩო: ვინ მოდისო?

მარგო: ყველაფერი მექავება... გადაგედებათ. ყველას გადაგედებათ. ჩუმად უნდა ვიყოთ.

მაია: მოდი, მარგო, ჩაიხედე სარკეში, არაფერი არ გჭირს.
(თემოს) ამ დროს მთავარია, რამენაირად რეალობა დავანახოთ.

მარგო: არა, არ შემიძლია.

მაია: მოდი, ნახე, სხეულზე არაფერი არ გჭირს. არ გაქვს დაყრილი.

მარგო: არ მინდა. მარიამი არ მოიყვანოთ... მარიამი გააფრთხილეთ.

მაია: მარგო, მოდი, ჩაიხედე სარკეში. თავს ნუ იგიჟიანებ.

მარგო: არა, ვერ ვიტან სარკეებს.

თემო: მიდი, მარგო, დაინახავ, რომ არაფერი არ გჭირს.
(მაიას) რა დაემართა? ღმერთო...

მარგო: არა-მეთქი. ვერ ვიტან სარკეებს... არ ვიყურები.

ბაჩო: ჩაიხედე ამ დედამოტყნულ სარკეში!

თემო (ბაჩოს): შენ ხო არ გამოყლევდი?!

მარგოს ყვირილი საშინლად აღიზიანებს. ყურებზე ხელებს იფარებს.

მარგო: ჩჩუუუ. დაგვსჯიან. არ შეიძლება.

მაია: მარგო, არ გაქვს ბატონები, სარკეში ჩაიხედე. დაყრილი ხომ უნდა გქონდეს...

მარგი: ყველა სარკეში დედაა. დედა სარკიდან გვიყურებს, არ შემიძლია. არ დამინახოს...

მაია: მარგო, თავი ხელში აიყვანე, მარგო. დამშვიდდი, თავს ნუ იგიჟიანებ.

თემო: მე გავედი, ჯობია წავიდეთ ჩვენ, ბაჩო.

მაია: თემო, ჯერ მარიამს დაურეკე, მარტო არ დამტოვო, დამეხმარე...

ვაიმე, რა ვქნა ახლა... რომელი საათია?
რა ვქნა, რა... მოვა მალე.
ამის დედაც ვატირე...

თემო და ბაჩო აივანზე გადიან. ბაჩო ფანჯრიდან აკვირდება ვითარებას. თემოს რცხვენია, ვერ უყურებს. გაქცევა უნდა.
მაია მარგოს მივარდება, მკლავებზე უჭერს და ნელ-ნელა ანჯღრევს.

რა გემართება მარგო, რა.

მარგო: არ შემეხო. დამეხმარეთ.

მაია: არაფერი არ გჭირს, ვიცი, რომ არაფერი არ გჭირს.

მარგო: ჩშშშ. გამიშვი.

მაია: გაჩერდი-მეთქი, გაჩერდი.

მარგო: გამიშვი. თემო, დამეხმარე, თემო.

მაია: ხომ თქვი, არ შეგიშლითო, ხომ თქვი...

მარგო: ფრთხილად იყავი მაია, გადმოგედება...

მაია: გამოფხიზლდი. მთვრალიც ხარ.

მარგო: მტკივა, მაი. გაჩერდი /ჩხუბი არ შეიძლება, არა/

მაია: /გეყოფა-მეთქი, აიყვანე თავი ხელში/

მარგო: არ შეიძლება ჩხუბი.

მაია: გაჩერდი, გაჩერდი.

მარგო: გაბრაზდებიან.

მაია: რატო აკეთებ ამას, რატომ?

მარგო: ჩჩჩ. ჩხუბი არ შეიძლება, მაიკუნა.

მაია: თავი აიყვანე ხელში, გესმის. გამოფხიზლდი.

მარგო ქვავდება.

მარგო: მაიკუნ. რა სიჩუმე იყო მაშინ, არავინ არ ჩხუბობდა, გახსოვს?

მაია მოულოდნელად იკრავს გულში მარგოს, ტირიან.

მარგო: ნუ მეჩხუბები. ჩხუბი არ შეიძლება. მაი, არ იჩხუბონ, უთხარი.

მაია: მართალი ხარ, ჩხუბი არ შეიძლება. ყველაფერი კარგად იქნება. ჩჩჩ. მაპატიე, მარგო. აღარ ვიჩხუბებ...

მარგო: ჩხუბი არ შეიძლება. ძლივს გაჩუმდნენ...

მაია: მაპატიე. არ უნდა წავსულიყავი. არ უნდა დამეტოვებინე. უნდა ჩამოვსულიყავი.

მარგო: მარტო მაშინ იყო სიჩუმე.

მაია: დახმარება გჭირდებოდა. მაპატიე. მაპატიე.

მარგო: ყველა ჩუმად იყო და ბედნიერი.

მაია ნელ-ნელა მიაცილებს მარგოს ოთახში. თემო და ბაჩო შემოდიან, თემო დაინახავს, რომ მაიამ მარგო გაიყვანა, დროს იხელთებს და გავა.

მაია ცოტა ხანში გამორბის, ისტერიულად იწყებს ფარდების ჩამოხსნას.

მაია: შენ აქ ხარ კიდევ?

ბაჩო: ვსო, დამიკიდე?

მაია: თემომ დაურეკა მარიამს?

ბაჩო: დაურეკა. შენ მთელი გეგმა დაგიწყვია - ეხლა მივხვდი.

მაია: არ მაქვს ახლა ამის დრო, ვერ ხედავ - რაო მარიამმა?

ბაჩო: არ უპასუხა. მითხარი, მითხარი, რას აპირებ.

მაია ისტერიულად ალაგებს.

მაია: რომელი საათია?

ბაჩო: მაია, დამელაპარაკე, მითხარი, რას იზამ.

მაია: ახლა? მაინცდამაინც ახლა?!

ბაჩო: ისე ნუ მექცევი, თითქოს კენჭი ვიყო შენს ფეხსაცმელში.

მაია: ღმერთო, რამხელა შეცდომა დავუშვი, ეს რაში გავერიე...

ბაჩო: რა თქვი?!

მაია: არაფერი.

ბაჩო: ვერ გავიგე, რა თქვი?! ერთი წუთი გაჩერდი.

მაია: არ მაქვს დრო, არა! არ გესმის!? რა გჭირთ ამ კაცებს?

ბაჩო: შეცდომა დაუშვი?! ვინ არის შენი შეცდომა?
გაჩერდი-მეთქი.

მაია: გაჩუმდი, ძლივს დაიძინა, გინდა, გააღვიძო?

ბაჩო: მე ვარ შეცდომა?! კარგი იყო, იქით-აქეთ რომ დამყავდი და როცა გინდოდა, მაშინ გტყნავდი?

მაია: კაი რა, ბაჩო, უარზე შენც არ იყავი, ხომ არ გაუპატიურებდი?

მაიას გაეცინება, ბაჩო მივარდება, ყელში ხელებს წაუჭერს და მუშტსაც ჩაარტყამს მუცელში.

ბაჩო: შენი დედა მოვტყან, ვის უბედავ?! ვინ გგონივარ, შე ბოლო ქუჩის პუტანკა, შენი ქმარი შეიძლება ცუციკი ჩმორია, აქ არაფერი შეგეშალოს, გაიგე? მიგასხმევინებ მაგ ტვინს, გაიგე... შენი სათამაშო კი არა ვარ.

კართან მარიამი და თომა მოვიდნენ, მარიამი: „აუ, გასაღები დამრჩა“.
კარზე ზარია.
ბაჩო საკუთარი საქციელისგან შოკშია. მაია გაშეშებულია. ბაჩო კართან მიდის, წყნარად აღებს.

მარიამი: ბაჩო, არ გელოდი.

თომა: რა ხდება აქ?

ბაჩო: გავდივარ უკვე, მარგო იყო ცუდად და თემოს და მაის დავეხმარე.

მარიამი: მაი, რა ხდება? მაი, კარგად ხარ?

ბაჩო: კაი, აბა თქვენ იცით, მაია, გამაგებინე, მარგო როგორ იქნება.

თომა: რა მოხდა აქ?

ბაჩო: არაფერი, აი, მაია გეტყვის, მარგომ გარეკა.

მარიამი: მაიკუნ, რა ხდება? სად არის მარგო?

თომა: რომელი საათია!? აქ რა მოხდა-მეთქი?

ბაჩო: არაფერი, შეჩემა. გავედი მე, აბა.

ბაჩო გადის.

თომა: შვიდზე მოვლენ მყიდველები.

მაია: სად იყავი, მარიამ, სად? ეს რა გადავიტანე...

თომა: სახლი ვნახეთ, იცი, რა მაგარია.

მაია: მარიამ, ერთი საათია, გირეკავ, სად იყავი?!

მარიამი: სად არის მარგო?

მაია: ჩჩჩუუ ჩუუუ, ძლივს ჩაეძინა - რაღაცეები აერია, დათვრა. როგორ დავიღალე... თავზე ცეცხლი მიკიდია...

მარიამი: რა მოხდა?

მაია: არ გაჩერდა, ბატონები მაქვსო, მართლა მაღალი სიცხე ჰქონდა.

მარიამი: ხომ ვიძახდი, ცუდადაა-მეთქი, ხომ ვამბობდი...

მაია: არ შეხვიდე! ძლივს დაიძინა. სად იყავი შენ, სად?!

მარიამი: არ მესმოდა, დამშვიდდი.

მაია: ბოდვა დაიწყო, თან მთვრალი იყო, თან შეშლილი. ვეღარ გავიგე.

მარიამი: ხომ ვამბობდი, ცუდადაა-მეთქი...

მაია: სარკეებს რატომ ვერ იტანს, იცი? დედა იქიდან გვიყურებსო.

მარიამი: ასე არ შეიძლება. დახმარება სჭირდება.

მაია: ძლივს დავაძინე, 7-ისთვის რომ მომეწესრიგებინა.

მაია აგრძელებს ფარდების ჩამოხსნას, ოთახი ნელ-ნელა ნათდება.

მარიამი: რისთვის?

თომა: მყიდველები მოდიან.

მარიამი: არა, არა!

მაია: რა არა?

მარიამი: შანსი არაა! ახლა არა, ყოველ შემთხვევაში!

თომა: რა?

მარიამი: უნდა გადავდოთ.

მაია: რას ამბობ?

მარიამი: ხომ ხედავთ, რაც ემართება.

თომა: მარიამ, უკვე შევუთანხმდით მეპატრონეს.

მაია: პირიქით, აქედან წასვლა სჭირდება!

მარიამი: არა, არა... სულ აირევა. კიდევ უფრო. ეს ამიწებს.

მაია: /აირიოს!/

თომა: /აგიჟებს, კი არ ამიწებს/ და შენ კიდევ უფრო აგიჟებ, არაფრის გაკეთების საშუალებას არ აძლევ.

მარიამი: კარგი თომა, რა. ჩემი დაა. რა ვქნა, მივაგდო?
მაი, მე ავიღებ აკადემიურს და მივხედავ მარგოს. ვიცი, შემიძლია. უბრალოდ, ყურადღება სჭირდება.

თომა: შენ, გოგო, სულელი ხომ არ ხარ? პროფესიონალის ყურადღება სჭირდება. შეშლილია, ფსიქიურად შეშლილია, რით ვერ გაიგეთ!?

მარიამი: კი, და ავიყვანთ პროფესიონალს, მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა მიხედოს სახლში.

მაია: სისულელეებს ნუ ლაპარაკობ.

მარიამი: არა, ამაზე ვფიქრობდი, ეს ბოლო თვეა, რაც... რაც...

მაია: რაც მე ჩამოვედი.

თომა: ფიქრობდი?

მარიამი: ვაკვირდებოდი, რაც ხდება, უფრო მალე უნდა მემოქმედა.

თომა: მოიცა, შენ თურმე ერთი თვეა აკადემიურის აღებას და მარგოს ძიძად დაჯდომას ფიქრობ და თან სახლებს ეძებ ჩემთან ერთად?

მარიამი: თომა...

თომა: არა, მარიამ, შენ თუ სერიოზულად ფიქრობ ამ სიგიჟეს, მე არ შემიძლია... მართლა აღარ შემიძლია. მაპატიე... მიყვარხარ, ღმერთმა იცის, შენზე მეტად ამ ცხოვრებაში არაფერი და არავინ არ მიყვარს. შენ გარდა ვინ მყავს? მარგოც ძალიან მიყვარს, მაგრამ შენც არ ხარ კარგად, მარიამ...

მარიამი: თომა მოიცა, ცოტა დრო მომეცი.

თომა: არა, რამდენი ხანია აქ ვართ, ზუსტად ამ წრეში? ეს ხომ პირველად არ ხდება, მარიამ...

მარიამი: სხვანაირად არ შემიძლია თომა, დამიჯერე.

თომა: მეც არ შემიძლია, მარიამ, არ შემიძლია, როცა ვუყურებ, როგორ ინგრევ ცხოვრებას... შენ ვერ დაეხმარები მარგოს, როგორ ვერ ხვდები...

მარიამი: მე თუ არა, აბა ვინ დაეხმარება?

თომა: არ ვიცი. მარტო საკუთარი თავი. შენ ვერაფრით. შენ იმ პრობლემის ნაწილი ხარ, როგორ ვერ ხედავ?!

მარიამი: ვერ ვხედავ.

თომა: სუსტი ხარ, ვერ ხვდები?

მარიამი: მე ვარ სუსტი?

თომა: კი.

მარიამი: არა, გადავწყვიტე! სხვანაირად არ შემიძლია...

თომა: კარგი, გასაგებია. ეს ჩვენთვის გვქონდა ნაყიდი. შენ დაუბრუნე პატრონს.

ამოიღებს და მარიამს მისცემს გასაღების ასხმულას, ზედ ჩამოკიდებული პატარა ბრელოკით, რომელშიც მარიამის და თომას პატარა სურათი დევს.

მარიამი: პრობლემისგან გაქცევაა სისუსტე, თომა.

თომა გადის.

მაია: არა უშავს, დაბრუნდება.

მარიამი: არა. ერთხელ თუ ამბობს, სიტყვას აღარ გადადის.

მაია: იშვიათია.

მარიამი: ჰო.

მაია: დღეს აღარ მაქვს ძალა, თორემ გეტყოდი, გკითხავდი, უფრო სწორად...

მარიამი: არ ვიცი. მეც არ ვიცი... სიჩუმე მინდა.

კარზე ზარი.
შუქი ქრება.

სცენის დასასრული

სცენა II.

იგივე დღე, მოგვიანებით. მაია ტელეფონზე ლაპარაკობს. დები არ ჩანან.

მაია: არაფერი. არაფერი არ მჭირს. რა გინდა?
ჯონი... ვიცი, ვიცი. მე? კი, მეც მომენატრე....
არ იცი, აქ რა გადავიტანე.. არ იცი. ჯონი... რატომ წახვედი იმ ქალთან, ჯონი? რატომ გააჩინე ჩვენ შორის ეს უფსკრული... არ ვიცი, როგორ შევძლებ, როგორ უნდა გავაგრძელოთ, მაგრამ უნდა ვცადოთ. კი, ვცადოთ. აქაც არ შემიძლია, აქ კიდევ უფრო არ შემიძლია. რას ვეძებდი, არ ვიცი...
კი, გავყიდეთ. მშვენიერი ფასი მოგვცეს, რაც მოვითხოვეთ... რის ფასად, საკითხავია... არაფერი, სხვა რაღაც ვიგულისხმე... ჩამოვალ, კი ჩამოვალ უკან. არა, არ მჭირდება, ბილეთს ჩემით ავიღებ.

მაია ტელეფონს თიშავს.
კარზე ჩუმი კაკუნია.

მაია: ვინ არის?

თემო: მე ვარ, მაია. მარგო როგორაა?

მაია: სძინავს. მგონი, ერთი 3 დღეა საერთოდ არ სძინებია... მთვრალიც იყო.

თემო: ჰო, სასმელთან სერიოზული პრობლემა აქვს.

მაია: მერე?

პაუზა.

თემო: ვისთვის უნდა მეთქვა? ყველამ იცოდა.

მაია: და მაინცდამაინც აქ იკრიბებოდით ყველა...

თემო: მარტო დალევდა, ასე უსაფრთხოდ მაინც იყო.

მაია: მარიამს მაინც გაუწიეთ ანგარიში, მომავალში.

თემო: არა, აქ აღარ ვივლით...

მაია: ვერც ივლით. გავყიდეთ სახლი.

შემოდიან მარგო და მარიამი.

მარგო: გავიმარჯვე? თემო?

თემო: მარგო -

მარგო: არა უშავს.

თემო: მარგო, არა უშავს, ხომ იცი, რა უვიცები არიან -

მარგო: ვინ გაიმარჯვა?

თემო: ის, ბროდსკის რომ ჰბაძავს...

მარგო: შენ მაინც გაგემარჯვა. ვსო... რაღა აზრი აქვს... სარეველები იმარჯვებენ ყოველთვის! როგორც დედა იტყოდა, არა?! კარგი ხო, ნუ მიყურებთ ასე... მარიამ!

მარიამი: რა კრიტერიუმით ირჩევენ, ვერ გავიგე... საერთოდ, ვის დაეჯერება ამ ქვეყანაში, ველარ გამიგია!

მაია: მარგო, მისმინე. ამ ხალხის აღიარებას ფასი არ აქვს -

მარიამი: სად მიდიხარ?

მარგო: ბაღში. ჩვენ ხომ ერთი ბაღის ყვავილები ვართ, სარეველებმა დაგვჩრდილეს... მარიამ, შენ რომ გაჩნდი, დედა ამბობდა, მზე ამოვიდა ჩვენს ეზოშიო... ახლა ყველა გავიფურჩქნებითო. სამივე ერთად თუ ვიქნებით, სარეველები ვერ მოგვერევიან... ჩვენ ხომ ერთი ბაღიდან ვართ... დავალაგებ, ყველაფერს დავალაგებ. აშკარად უკეთ ვარ -

თემო: მარგო, მოდი, მინდა დაგემშვიდობო...

თემო გარეთ გადის, მარიამიც მიყვება. შემოსასვლელი კარიდან იჭყიტება ბაჩო.

ბაჩო: მაია.

მაია შეკრთება.

მაია: ყველა აქ არის, რა გინდა?

ბაჩო: ბოდიშის მოხდა მინდა, მაია, მაპატიე, არ ვიცი, რა დამემართა, თავი ვერ შევიკავე. მეგონა, ამოვედი ამ წუმპიდან და...

მაია: ამოხვედი კი არა, შენ ქმნი წუმპეს.

ბაჩო: მაია...

მაია: ქვეყნის პარაზიტი ხარ, ყოვლად უსარგებლო, არაფრის მაქნისი... 40 წლის კაცი ხარ და 25 წლის ბავშვებში იმკვიდრებ თავს, ხელის ერთი გასმით უნდა განადგურდეთ, ვინ შეამჩნევს რო? მართალი იყო ის კაცი, თქვენნაირებს რომ არ ინდობდა -

შემოდის თომა.

თომა: მაია, ის მეპატრონე მირეკავს... სად არის მარიამი? გასაღები უნდა დავუბრუნო.

მაია: სახლი გავყიდეთ, თომა.

თომა: /მარიამი?/

მაია: შენ წარმოიდგინე, ერთადერთი მყიდველი და ძალიან კარგ ფასად.

თომა: მარგომ იცის?

მაია: ჯერ არა.

თომა: მარიამი როგორ დაგთანხმდა?

მაია: სასწაულები ხდება ხანდახან.
მე ხვალ მივდივარ.

თომა: ხვალ?! მიდიხარ? ასე ტოვებ -

მაია: თუ არ მინდა, რომ ჩავიძირო, უნდა წავიდე.

თომა: და მარიამი? მარიამს უტოვებ?

მაია: მარიამმა მითხრა, რომ შენ სიტყვას არასდროს არ ტეხავ - იქნებ შენ მაინც შეძლო...

თომა: /რა?/

მაია: დავუძახებ მარიამს. მოვშორდე აქაურობას...

თომა: შენ რაღა გჭირს?

ბაჩო: ჰა? მე... ქალის რისხვა.

შემოდის მარიამი, ბაჩოს ვერ ხედავს.

მარიამი: თომა, მოხვედი.

თომა: მეპატრონე მირეკავს, გასაღებს რას უზამთო, საღამოს მოგიტანთ-მეთქი, ვუთხარი და...

მარიამი: ااا. არა, მე და მარგო გადავალთ მაგ სახლში. ამიტომ შეგიძლია უთხრა, რომ გასაღებს აღარ დავუბრუნებთ...

თომა: ანუ გამოიყენებ იმ გასაღებს?

მარიამი: კი. გმადლობ.

შემოდის თემო.

თემო: მარიამ, მაია გეძახის.

მარიამი: მოვდივარ. აბა... თქვენ იცით. ვაიმე, ბაჩო, ვერც დაგინახე... შენც აქ ყოფილხარ.

გზად ფეხს რაღაცას გაჰკრავს და გასაღები ჩამოვარდება. მარიამი გადის. ბიჭები მარტოები რჩებიან.

თემო: ბიჭო... ვერ ვიჯერებ, მეტირება, რომ ვუყურებ. ეხლა მთელი ცხოვრება ასე იქნება?

ბაჩო: რა ჯანდაბა გვჭირს, რით ვერ ამოვედით ამ ჭაობიდან?

თომა: საკუთარ თავს ვერ ვუმკლავდებით.

თემო: მშობლების ბრალია... უფრო სწორად -

ბაჩო: ყველას თავის გასაჭირი აქვს - დავანებოთ მშობლებს თავი.

თემო: მამაჩემი ორბში იყო...

ბაჩო: აუუ...

თომა: ორბი?

თემო: რაღაც ყლე დაჯგუფება იყო.

ბაჩო: ყლე კი არა, რაც საჭირო იყო, იმას აკეთებდნენ... განუკითხაობა ხდებოდა.

თემო: არა, ყლე დაჯგუფება იყო!

თომა: ჩვენი მამები ძმაკაცები იყვნენ, მამაჩემი რომ მოკვდა, ეს სულ აირია... სმას გადაჰყვა. კაი კაცი კი იყო -

ბაჩო: როდის ამოვალთ ამ ჭაობიდან, ბიჭო, როდის... აი, მარიამის თაობა მგონი სხვანაირია.

თომა: შენები, ბაჩო?

ბაჩო: მე? მამაჩემი არ მინახავს არასდროს... ვიცი, რომ ენაბლუ იყო.

პაუზა. ყველას ეღიმება.

ბაჩო: ყველგან ენაბლუ კაცს ვეძებდი. ენაბლუ ტიპი ხომ კეთილია? ბოროტი როგორ უნდა იყოს... ყველა საყვარელია, ტო.

თომა: არა, რატომღაც ვმალავთ...

თემო: რას?

თომა: ჩვენს თავებს. ყველაზე მეტად ვინც გვიყვარს, იმათ ვუმალავთ. საკუთარ თავსაც ვუმალავთ. ვერ ვხვდები, რატომ?.. ყველაფერი ხომ პატარა მარცვლიდან იწყება. ის, ის პატარა მარცვალი, გაჩენისთანავე რომ ითქვას, ჯერ რომ პატარაა და უმნიშვნელო, აქამდე ხომ არ მოვიდოდით... თქვი, ამის დედა ვატირე, თქვი, „თავს ვერ ვიკავებ“, „ვეღარ ვჩერდები, სულ სმა მინდა...“ თქვი, „გული მტკივა“, „მეშინია“, „ცხოვრებაში არაფრისთვის არ მიმიღწევია“, „ვერაფერს ვეღარ ვგრძნობ“, თქვი, „აღარ ვიცი ვინ ვარ“, „ოღონდ შენ არ დამტოვო...“

ბნელდება.

სცენის დასასრული.

დასასრული.